# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 12 თებერვალი, 2008 წელი.

№ 26 (5884)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# ოპოზიცია უკან არ იხევს

გაერთიანებული ოპოზიციის ერთიანი ეროვნული საბჭო კვლავ განაახლებს ხელმოწერებს კამპანიის ფარგლებში — „მე არ ამირჩევია სააკაშვილი“.

ამის შესახებ პარლამენტის შენობის წინ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე გოგა ხაინდრავამ განაცხადა.

მან ჩამოთვალა ყველა ის ღონისძიება, რაც ერთიან ეროვნულ საბჭოს 15 თებერვლამდე აქვს დაგეგმილი.

2







### იმამ ხომეინი:

## „ჩვენი რევოლუცია იყო სამართლიანობის სხივის აფეთქება...“

11 თებერვალი ირანის ისლამური რესპუბლიკის დღე — ისლამური რევოლუციის გამარჯვების 29 წლისთავია. ამ თარიღთან დაკავშირებით მკითხველს ვთავაზობთ სპეციალურ რვაგვერდიან ჩანართს, რომელსაც დევიზად გასდევს ირანის დიდი შვილის იმამ ხომეინის გამონათქვამი: „ჩვენი რევოლუცია იყო სამართლიანობის სხივის აფეთქება...“

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მრავალათასიანი მკითხველის სახელით გულითადად ულოცავს მეგობარ ირანელ ხალხს ამ დღესასწაულს და წინსვლა-აყვავებას უსურვებს!

იხ. ჩანართი

### ლევან ბერძენიშვილი:

## ხელისუფლებას მუდმივად აქვს ილუზია, რომ ხალხი უსამართლობას შეეგუება



2



# ფარული ჩანაწერის სრული ვერსია

3

ვალერი გელბახიანის ოჯახმა „ინტერპრესნიუსს“ გელბახიანისა და კოდუას სასტუმროში შეხვედრის ფარული ვიდეოჩანაწერის სრული ვერსია მიაწოდა

4



● ახალი საზოგადოებრივი, აპოლიტიკური მოძრაობის პრეზენტაციას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, საზოგადოების წარმომადგენლები, რეჟისორი რევაზ ჩხეიძე, მხატვარი რუსუდან ფეტვიაშვილი, მომღერალი თამარ ჭოხონელიძე და სხვები ესწრებოდნენ

◎ ოპოზიციის პოზიცია

**გაერთიანებული ოპოზიცია ხელისუფლებასთან კონსულტაციების გაგრძელებაზე უარს ამბობს და მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდის გამართვამდე უკვე შეთანხმებული საკითხების დროულად გადაწყვეტას მოითხოვს. ოპოზიციონერთა მტკიცებით, გაერთიანებული ოპოზიცია პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრაზე არ მივა და 15 თებერვალს საპროტესტო აქციებს დაიწყებს. თავის მხრივ, ხელისუფლება ოპოზიციას არაკონსტრუქციულობაში და ულტიმატუმის ენით საუბარში ადანაშაულებს.**

**ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთობების საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს ლევან ბერძენიშვილს ესაუბრა.**

## ლევან ბერძენიშვილი: ხელისუფლებას მუდმივად აქვს ილუზია, რომ ხალხი უსამართლობას შეეგუება

**— თქვენმა თანამებრძოლებმა განაცხადეს, რომ აღარ აპირებენ პარლამენტის თავმჯდომარესთან კონსულტაციებში მონაწილეობას და მიღწეული შეთანხმების შესრულებამდე აქციების დაწყებას გეგმავენ. თქვენც იზიარებთ მოსაზრებას აქციების დაწყების აუცილებლობის შესახებ?**

— არის საკითხები, რომლებსაც არ სჭირდება ხანგრძლივი შეხვედრები, მუშა ჯგუფები და ა.შ. ეს გახლავთ პოლიტპატიმრების გათავისუფლება, ანუ იმ ადამიანების გათავისუფლება, რომლებიც 7 ნოემბერს და შემდგომ, აქციებთან დაკავშირებით დააპატიმრეს. ზოგიერთი მათგანი დაპატიმრებულია მასობრივ არეულობებში მონაწილეობის ბრალდებით, ხოლო მასობრივი არეულობების მომწყობთა მიმართ არანაირი საქმე არ არსებობს და დაპატიმრებულიც არავინაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ადამიანები სრულიად უაზროდ არიან დაკავებული. ოპოზიციის მოთხოვნა იყო და შეხვედრი აზრიც გამოითქვა, რომ ასეთი პირები უნდა გათავისუფლებულიყვნენ.

ასევე, თანამდებობიდან უნდა წავიდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილი და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ხელმძღვანელი თამარ კინწურაშვილი. ამ საკითხებზე მიღწეულია თანხმობა, მაგრამ გაკეთებული არაფერია. ამიტომ, გაერთიანებულმა



ოპოზიციამ მიიღო გადაწყვეტილება, სანამ მიღწეული შეთანხმებები არ შესრულდება, მანამ ჩვენ ჩავთვლით, რომ ხელისუფლებას დროის გაყვანა სურს.

გუშინ გავიგეთ ახალი მოსაზრება, რომ ყველა საკითხი ერთად უნდა გადაწყდეს, მაგრამ ჩვენ არ ველოდებოდით 11 თებერვალს. ხელისუფლებამ მშვენივრად იცის, ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ ეს საკითხები დროულად უნდა გადაწყდეს. ამიტომ, 15-ში განახლდება აქცია. როგორც ჩანს, ხელისუფლებასაც მოენატრა დათვალიერება, მართლა მოვა თუ არა ხალხი. ვწუხვარ, რომ ხელისუფლებას მუდმივად აქვს ილუზია, რომ ხალხი შეეგუება უსამართლობას, აღარ მოვა აქციებზე და აღარ დასჭირდება დათმობები. ეს მცდარი ილუზიაა. ალბათ ეს არის ის რეაქციული აზროვნება, რომელზეც ერთ-ერთი მინისტრი გუშინ საუბრობდა. ვფიქრობ, 15-მდე შეიძლება კიდევ რამე შეიცვალოს. ხელისუფლებას აქვს დრო ფიქრისთვის პოზიციის შესაცვლელად.

**— დიახ, მეც მოვისმინე იუსტიციის მინისტრ ნიკა გვარამიასგან, ყველა საკითხი ერთად უნდა გადაწყდესო...**

— შეთავაზება გავიგონეთ, მაგრამ არა პარლამენტის თავმჯდომარისგან. გარწმუნებთ, თუ აქციებზე იქნება ხალხის დიდი მასა, ისინი დათმობებზე წავლენ.

**— თუ ხელისუფლება დათმობაზე არ წავა, აქცია პერმანენტულ ხასიათს მიიღებს? რამდენადაც ვიცი, გაერთიანებულმა ოპოზიციამ აქციების ჩასატარებლად მერიისგან ნებართვა 15-25 თებერვლამდე ითხოვა.**

— ეს მემორანდუმამდეც იყო ნათელი. თუ ხელისუფლებამ დათმობა არ მოინდომა, მკაცრად დაისჯება. მთელმა მსოფლიომ, მათ შორის, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ქართული არჩევნები სამარცხვინოდ შეაფასა და თქვა, არჩევნები მისაბაძი არ იყო და ნიგერიამაც არ უნდა მიბაძოსო. სხვათა შორის, ამის შემდეგ თარხნიშვილს ნამუსი რომ ჰქონდეს, ძველი დრო რომ იყოს და ოფიცერი იყოს, თავს მოიკლავდა, ახალ დროში კი გადადგებოდა. მაგრამ თარხნიშვილი არც ოფიცერია, არც ძველი დროა და, რაც მთავარია, თავად არა აქვს ნამუსი და ღირსება.

ამ შეფასებების შემდეგ, თუ ხელისუფლებას არ აქვს უნარი, გაიგოს, გააგებინებენ და დიდი ეჭვი მაქვს, რომ მათ შესანიშნავად ესმით ყველაფერი და შესანიშნავად გააკეთებენ ყველაფერს, რასაც ხალხი მოითხოვს. უბრალოდ, ხელისუფლებამ შეიძლება ხელიდან გაუშვას ტემპი დათმობებისა, მაგრამ კიდევ უფრო მეტის დათმობა მოუწევს. საქართველოში პატარა ბავშვმაც ისწავლა პოლიტიკური ანბანი: მოითხოვ ერთს, არ გაგიკეთებენ, მაშინ მოითხოვ ორს და გაგიკეთებენ. მანამდე უნდა გააკეთონ, სანამ მოვითხოვთ.

**ესაუბრა**
**კობა ბენდელიანი**

◎ კურთხევა

## ეროვნული და ქრისტიანული ფასეულობების დაცვა

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საქველმოქმედო ფონდში „ეროვნულ-ქრისტიანული მოძრაობის“ პრეზენტაცია შედგა, რომელსაც გიორგი ანდრიაძე უხელმძღვანელებს.**

ახალი საზოგადოებრივი, აპოლიტიკური მოძრაობის პრეზენტაციას სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, საზოგადოების წარმომადგენლები, რეჟისორი რევაზ ჩხეიძე, მხატვარი რუსუდან ფეტვიაშვილი, მომღერალი თამარ ჭოხონელიძე და სხვები ესწრებოდნენ.

როგორც პრეზენტაციაზე გიორგი ანდრიაძემ განაცხადა, ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა პატრიარქის ფონდის შენობაში, მე-3 სართულზე განთავსდება. მისი შექმნის მიზანი კი, ანდრიაძის თქმით, ეროვნული და ქრისტიანული ფასეულობების დაცვაა.

— საზოგადოებრივი მოძრაობის სამოქმედო თემები ის საკითხებია, რომლებსაც პატრიარქი თავის ქადაგებებში აღნიშნავდა. დღემდე ეროვნულ და ქრისტიანულ ფასეულობებზეა დაფუძნებული სახელმწიფოს მოწყობა. ბოლო პერიოდში კი, განათლების სისტემაში, ცხოვრების წესის განსაზღვრაში ამ ფასეულობების შეცვლის მცდელობა შეინიშნებოდა. საზოგადოება არჩევანს კვლავ ტრადიციულ ფასეულობებზე დაყრდნობით აკეთებს, — აღნიშნა გიორგი ანდრიაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

◎ პროტესტი

## ოპოზიცია უკან არ იხევს

(პირველი გვერდიდან)

რაც შეეხება დღევანდელ გეგმებს, 15 საათზე ე.წ. მოდულის შენობასთან გაიმართება ახალგაზრდული ორგანიზაციების საპროტესტო აქცია 7 ნოემბრის დარბევისა და შემდგომ დაკავებული პოლიტპატიმრების გათავისუფლების მოთხოვნით.

გარდა ამისა, 12-დან 15 თებერვლამდე თბილისში გაიმართება მანქანების აქცია, რათა საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია 15 თებერვლისთვის დაგეგმილი საპროტესტო აქციის შესახებ.

გოგა ხაინდრავას ინფორმაციით, 13 თებერვალს, 12 საათზე გენერალურ პროკურატურაში ეროვნული საბჭოს წევრები შეიტანენ საჩივარს არჩევნების გაყალბებაში ეჭვმიტანილი პირების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნით. პარალელურად, გაიმართება ახალგაზრდული ორგანიზაციების საპროტესტო აქცია.

14 თებერვალს, 14 საათზე საერთო სახალხო მოძრაობის ეროვნული საბჭოს ახალგაზრდული ორგანიზაციები კანცელარიასთან გადაინაცვლებენ და გამართავენ თეატრალიზებულ საპროტესტო აქციას სახელწოდებით — „ხმების ქურდები“.

15 თებერვალს კი, 14 საათზე ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქცია გაიმართება. როგორც ხაინდრავამ აღნიშნა, მიღწეული იყო ზეპირი შეთანხმება ხელისუფლებასთან, რომლის თანახმადაც, უკვე გასულ პარასკევს თანამდებობიდან უნდა გათავისუფლებულიყვნენ ცესკოს თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილი



და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორი თამარ კინწურაშვილი, ასევე, უნდა მომხდარიყო პატიმრების გათავისუფლება. თუმცა, ხაინდრავას თქმით, ზეპირსიტყვიერი შეთანხმებები ხელისუფლებასთან საკმარისი არ აღმოჩნდა, შესაბამისად, გაერთიანებული ოპოზიცია საპროტესტო ზომებს მიმართავს.

აღნიშნული მოთხოვნების შეუსრულებლობამ განაპირობა ის, რომ ერთიანი ეროვნული საბჭო მოლაპარაკებებში, მათ შორის ხვალინდელ კონსულტაციებში მონაწილეობაზე უარს აცხადებს, — აღნიშნა გოგა ხაინდრავამ.

**ინტერპრესნიუსი**

◎ სკანდალი ახალგაზრდულ მოძრაობაში

## გაბუნიას წასვლას გაერთიანებული ახალგაზრდული მოძრაობის გამოხმაურება მოჰყვა

**ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ახალი პარტიის გამოჩენამ იმთავითვე ცნობილ სახეთა გადაადგილება გამოიწვია. ზაზა გაბუნიას „თავისუფლებიდან“ გადასვლამ ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაში ძველი თანაგუნდელები გაანაწყენა და კომენტარებმაც არ დააყოვნა.**

ხალხის პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე **სოსო გიორგაძე** ამბობს, რომ გაერთიანებული ახალგაზრდული მოძრაობისთვის ზაზა გაბუნიას ეს ნაბიჯი სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა.

„გაბუნია იყო ლევან გაჩეჩილაძის ახალგაზრდული შტაბის ხელმძღვანელი. ბუნებრივია, საწყენია, სხვა ფლანგზე მისი გადასვლა. ვსაუბრობდით იმაზე, თუ სად, როდის, როგორ გაგვემართა აქციები და მიგვეღწია ჩვენი საერთო მიზნისათვის, და უცებ, ორიოდ დღეში თქვა, რომ ის ტოვებს პარტიას, მოძრაობას, რადგან მისი და ქრისტიან-დემოკრატთა იდეოლოგია ერთმანეთს ემთხვევა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვდგავართ იქ, სადაც ქართველი ხალხია.

გაბუნიას თქმით, თითქოს მას ორმოცდაათ კაცამდე გაჰყვა, მაშინ როცა რეალურად ჩვენგან სულ შვიდი ახალგაზრდა წავიდა. გაბუნიას წასვლა დიდი დანაკარგი არ არის, თუმცა მასთან ერთად ძალიან ბევრ მნიშვნელოვან საქმეს ვაკეთებდით. ასევე, მან განაცხადა, რომ თითქოს ის აიძულეს წასულიყო მას შემდეგ, რაც მან დარჩენის სანაცვლოდ შემოთავაზებულ დიდ თანხაზე უარი თქვა. როგორც ვიცი, მას პარტია „თავისუფლებაში“ უბრალოდ ჰკითხეს, თუ რატომ ტოვებდა პარტიას, რაზეც მან კონკრეტული ვერაფერი თქვა, იმის გარდა, რომ სხვა პარტიასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას, რის შემდეგაც გარიცხეს პარტიიდან.

გაბუნიას წასვლის მიუხედავად, გაერთიანებულ ახალგაზრდულ მოძრაობაში არაფერი იცვლება. შემართებით ვემზადებით 15 თებერვლის აქციისთვის, რადგან, როგორც აღმოჩნდა, ხელისუფლების ზემოქმედების ერთადერთი საშუალება სწორედ ხალხმრავალი აქციებია, თურმე მასთან დიალოგი მხოლოდ მრავალრიცხოვანი მიტინგით შეიძლება. მემორანდუმის ზოგიერთ საკითხზე შეთანხმება მიღწეულია, თუმცა იმ საკითხებზე, რომელსაც არ სჭირდება კონსტიტუციური ცვლილებები, რეაგირებას არ ახდენენ. იგულისხმება საზოგადოებრივი მაუწყებელი, ცესკო და 7 ნოემბერს დაპატიმრებული მომიტინგეების გათავისუფლება. ხელისუფლება ცდილობს, დრო მოიგოს საპარლამენტო არჩევნებამდე, მაგრამ ჩვენი აქტიურობით ამის უფლებას არ მივცემთ“, — დაასრულა სოსო გიორგაძემ.

**ორშაბათიდან გაიმართება გაერთიანებული ახალგაზრდული მოძრაობის აქციები უზენაეს სასამართლოსთან, გენერალურ პროკურატურასთან და ე.წ. მოდულის შენობასთან.**

**თეა მოსია**

№ 26. სამშაბათი, 12 თებერვალი, 2008 წელი.

კარგი იქნება, თქვენც თუ წაიკითხავთ და თქვენ თვითონ ანალიზს თუ გაუკეთებთ, საით მიდის ეს ყველაფერი. მიშას ინტერვიუ ნახეთ, ნინოს ინტერვიუ ნახეთ დღევანდელი, ბათუმში ნათქვამი, ბათუმში თქვა ასეთი რაღაცა...




სკანდალი

# ფარული ჩანაწერის სრული ვერსია

## ვალერი გელბახიანის ოჯახმა „ინტერპრესნიუსს" გელბახიანისა და კოდუას სასტუმროში შეხვედრის ფარული ვიდეოჩანაწერის სრული ვერსია მიაწოდა

***საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მიმდინარე არკადი (ბადრი) პატარკაციშვილისა და ვალერი გელბახიანის საქმეების გამოძიების პარალელურად მიმდინარეობს ამ საქმეებში არსებული ფარული მასალების ქართულ პრესაში გამოქვეყნება.***

***გაზეთებში უკვე რამდენიმე ისეთი ჩანაწერი გამოქვეყნდა, რომელიც თავის დროზე ძალიან უწყებებს არ გაუხმაურებიათ. ვალერი გელბახიანის ოჯახმა, რომელსაც საქმის მასალებზე ხელი მიუწვდება, "ინტერპრესნიუსს" მორიგი გაუხმაურებელი ჩანაწერი მიაწოდა.***

***ჩანაწერიდან, სადაც ვალერი გელბახიანისა და ერეკლე კოდუას მეორე შეხვედრაა ასახული, შსს-მ მხოლოდ ერთი, გიორგი თარგამაძესთან დაკავშირებული ეპიზოდი გამოაქვეყნა. „ინტერპრესნიუსი" ამ ფარული ვიდეოჩანაწერის სრულ გაშიფრულ ვერსიას აქვეყნებს. ჩანაწერი 2007 წლის 21 დეკემბერს თბილისში, ერთ-ერთ სასტუმროშია გაკეთებული. კოდუასა და გელბახიანის შეხვედრას ორგანიზებას უწევს ყოფილი მოსამართლე მარინა გაბუნია, რომელიც თავადაც ესწრება შეხვედრას. ტექსტში „ძ" მარინა გაბუნიას, „მ" ერეკლე კოდუას და „კ" ვალერი გელბახიანის კოდებია.***

**ძ-** დაგვიანება ჩემი ბრალი აღარ არის-მეთქი.

**მ-** მობრძანდით.

**ძ-** ძილი აღარ მეღირსა სამი დღე.

**მ-** მეც ეგრე ვარ. რა ვქნა, აგერ მარინას გუშინ ვუსაყვედურე, მაგრამ რა ვქნა.

**კ-** გუშინწინ წავედი.

**ძ-** მე ვუთხარი, რომ მისაყვედურე.

კ- გუშინწინ წავედი, ჩერეზ სტამბულში ვიყავი,

ექვსი საათი თვითმფრინავში, გუშინ ამსტერდამით გადმოვფრინდი, 10 საათი ვიყავი თვითმფრინავში.

**ძ-** უიმე, 10 საათი?

**კ-** ხო, დამღლელია მაგარი.

* * *

**მ-** ისედაც ოქრუაშვილმა მაგარი გაათამაშა, რა!

**ძ-** პრეზიდენტობა უნდა.

**მ-** მართალია, ამბიციურია ძალიან.

**ძ-** პირველ იანვარს, ცხინვალში შევხვდებიო.

**კ-** ეგ მისცა თუ არა, კომენტარი გავაკეთე მაშინ და ვთქვი, რომ ეს ტიპი პრეტენზიულია, მიშას გადაასწრო განცხადებაში, ხო?

**ძ-** ხო.

**კ-** თავდაცვის მინისტრი იყო, ეს იმას ნიშნავს, რომ მიშას ავტორიტეტი ნულია. ეხლა მიშას ხასიათებიდან გამომდინარე, ვერ აიტანდა ამას, აგიხდა ესე ყველაფერი, სამ თვეში მოხსნეს.

**ძ-** არა, მეხუთე დღეს გაუშვა.

**კ-** ეგეც იყო, მოსალოდნელი, მანდ იყო ერთი გამოსავალი, ან არ უნდა მოეხსნა მაგ დროს, ან უნდა, თუ ხსნი, სხვაც უნდა მიაყოლო. ვანოც რომ მოეხსნა, გათავებული ამბავი იყო ეგ, მაგრამ ვანო არ გაიმეტა, ის გაიმეტა და მოჰყვა მაგას ოქრუაშვილის ამბიციები, იმიტომ, რომ ვანო და ოქრუაშვილი იყვნენ ძალიან მაგარი დაპირისპირებულები და ერთის მოხსნა იწვევდა... (არ ასრულებს) მაშინ, არც ეს მოეხსნა.

**ძ-** არა, მტერი როგორ შეიძლება, რომ გაუშვა.

**მ-** ეს თემა ეხლა ჩვენ შორს წაგვიყვანს.

**ძ-** არა, შეცდომა იყო, უბრალოდ.

**კ-** კიო, თქვა... ეს ისეთი საკითხია, რომელსაც, მე მაშინ გითხარი, მესამე და მეოთხე პირი არ სჭირდება, ოღონდ თანახმაა ამ პირობებზე.

**მ-** მაგრამ ერთი პატარა პრობლემაა, ჩემი გასვლა აქედან და რატომ ეხლა... ეს ისეთი პრობლემაა, რომ თქვენ მიხვდებით მაგაზე, რომ ეხლა, დღეს არის, რა რიცხვია, ვთქვათ ავიღოთ 21, ხომ, საარჩევნო ის. ემველე როგორ არის, ხო? მუშაობს და იმ დროს მითუმეტეს მე და ჩემი სამსახურები რომ არის ნახევარზე მეტი დამოკიდებული, 70% ემველესი, ეხლა მე გავიდე აქედან ორი დღით, ან კიდევ სამი დღით, თან ეხლა უცხოეთში გავიდე, რამდენად დასაშვები იქნება, მე რომ არ გავიშიფრო ამაში.

**კ-** არ არის გამორიცხული, თვითონ რომ ჩამოვიდეს. აქამდეც ჩამოვიდოდა, აპირებს პროსტო, მე ვეუბნები არ ჩამოხვიდე-მეთქი.

**მ-** პრობლემა არის, მე როგორც ვიცი, არის პრობლემა.

**კ-** მე გეტყვი, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ დაწერა, ძალიან უარყოფითი დასკვნები, 7 ნოემბრის მოვლენები ძალიან უარყოფითია და სხვა კიდევ ერთი, ეხლა ელოდებიან კიდევ მესამეს „ემინისტ ინტერნეიშელის" დასკვნას.

**მ-** ხო.

**კ-** ჩვენი მონაცემებით, ისიც ძალიან უარყოფითია, პირდაპირ გაფრთხილება აქვს მიცემული, რუსეთი ამოიღებს კიდევ ხმას და ამერიკელები დასჯიან. დღევანდელ ინტერვიუში საერთოდ უარყოფს ამ ფაქტორს. საერთოდ არც მიხსენებია მეო. აი, ის რუსები, ვითომ... გადატრიალებაო. დღეს, აბსოლუტურად უარყოფს ტაიმსში მაგას, ყველაფერს, "იმედის" დარბევაზე ამბობს, რომ არ ვიცოდიო, ჩემი განკარგულება არ იყოო, ანუ უკვეთავენ ვიღაცეები ამას.

**მ-** რატომ?

**კ-** თქვენ გააკეთეთ დასკვნები, რატომ შვება ამას, თვითონ იცილებს ყველაფერს, ოღონდ მიიღოს დასტური, ყველაფერზე მზად არის.

**მ-** ეხლა, ეს კი შეიძლება, მაგრამ დრო გასდის...

**კ-** ნუ, გვაქვს ერთი 6-5 დღე, დავაკვირდეთ. ისევ ინგლისშია, შეიძლება ხვალ ან ზეგ ამერიკაში წავიდეს. უნდა ჩამოსულიყო კონდოლიზა, იყო ასეთი სქემა, კონგრესის ჯგუფი ჩამოვიდოდა, იმიტომ, რომ რეზოლუცია აქვს მიღებული და კონდოლიზას აქვს დავალება, რომ უნდა შეხვედროდა საქართველოში ყველა პოლიტიკურ ლიდერს, რომ უნდა გაეკეთებინა ისე, რომ ერთ მაგიდაზე დაეჯინა ყველა, მიშაც და სხვებიც. ამის გამო ჩამოდიოდა და ბადრიც უნდა ჩამოეყვანა. რაც არ უნდა მოხდეს, ვინც შეცდა, უნდა აღიაროს. ჩვენ ვაღიარებთ, იმან უნდა აღიაროს და ა.შ. ხო, მაგრამ ამათ არ მიიღეს ეს წინადადება. როგორ არის იცი? კონდოლიზა ამბობს უარს უკვე ჩამოსვლაზე, რახან ერთ მხარეს არ უნდა, ამიტომ ამერიკელი ტყუილად რატომ უნდა ჩამოვიდეს. ეს არ არის ინგლისელი, შედეგი უნდა წაიღოს.

**მ-** აჰა?

**კ-** თუ შედეგი ვერ მიიღეს, არ ჩამოვლენ, ეს გეგმა ისევ რჩება ძალაში. თუ მოხერხდა ისე, რომ ორივეს ელაპარაკა, მაშინ ჩამოვა. ერთი მასალა, გადმომცეს გუშინწინ, რაღაც საუბარია გაშიფრული. იქ ერთი ნაწილია ესეთი, ბურჯანაძე და მიშა შეხვდა ერთმანეთს, სადაც მიშა ეუბნება, რომ ჩამოვა დავიჭიროთ და რუსებს გადავცეთ. მე როგორც მივხვდი, ის მასალა უფრო რუსების მოპოვებულია. რუსები მაგრად აზიან მაგას და ნინო ძალიან წინააღმდეგია, არ დაეთანხმა. ჩანს, რომ ნინოზე ამერიკელები მუშაობენ, ცოტა ძნელია ამის პროგნოზები... მით უმეტეს, მე მაქვს ინფორმაცია, რომ რუსებთან გალაითებას ცდილობენ მაგრად, გადიან კავშირებზე, მით უმეტეს იქ საპრეზიდენტო ცვლილებები მოხდება ეხლა. და თუ დაალაგეს რუსეთთან ეხლა, შეიძლება ისე დაალაგონ, რომ ამერიკელიც გადააგდონ, ამერიკელები ამას შიშობენ და ასეთი გაურკვევლობაა, რა.

**მ-** არჩევნებზე მერე მაგი იმას იზამს, იმოქმედებს?

**კ-** იმოქმედებს.

**ძ-** 5 დღეში?

კ- არა, 5 დღეში რაღაც გაირკვევა.

**ძ-** ესენი გავლენ.

**მ-** ესენი გავლენ.

**კ-** 45 ქვეყნის დამკვირვებელი მოდის, არ არის ესე, ამას უნდა, რომ გადააკეთოს.

**ძ-** კი.

**კ-** კი და ვინ ეტყვის მაგას, გამორიცხულია მაგი, რომელიმე დამკვირვებელმა დაუდასტუროს მაგი.

**მ-** ნუ აი, გააჩნია მერე, აი კიდევ მეორეა, თვითონ როგორ გაშუქდება, როგორ წავა ეს ყველაფერი.

**კ-** ეხლა, ერთი დასტური პრესისა, რომელიც გაკეთდა სარეკომენდაციო ნაწილში, არის ძალიან საინტერესო. იქ რა თქმა უნდა ითხოვენ ხელმძღვანელობის დასჯას, პოლიციის ხელმძღვანელობის დასჯას.

**მ-** ხო.

**კ-** აქ გადამეტებული ძალა იყო გამოყენებული და აუცილებლად უნდა დაისაჯოს არა მონაწილე პირები, არამედ ხელმძღვანელობა, ვინც ამაში მონაწილეობდა და პროკურატურას ევალებიან, რომ საქმე აღძარი და დაიწყე სასამართლო. შემთხვევითი არაა, როგორც სხვა რამე, რომ ყველაფერი ემველეს გადააბრალა. ანუ კრიზისის დაძლევა ნაჩვენებია იმ რეკომენდაციაში, უნდა შემირიგდეს პირველ რიგში, ხომ ესეა კომპრომისისას? მე რომ შემირიგდეს, საპასუხოდ უნდა დაისაჯოს ის ადამიანი, ვინც ეგ ჩაიდინა. ხვალ კიდევ გამოვა ერთი დასკვნა, ყველა რეკომენდაცია ამ ტიპის იქნება, მე როგორც ვიცი, იქ ჩანს ერთი რამე, რომ თქვენი უფროსი ეწირება ამ საქმეს, მაგი ჭკვიანი ბიჭია, თვითონ დაყნოსავს ამას, ისე, კარგი იქნება, თქვენც თუ წაიკითხავთ და თქვენ თვითონ ანალიზს თუ გაუკეთებთ, საით მიდის ეს ყველაფერი. მიშას ინტერვიუ ნახეთ, ნინოს ინტერვიუ ნახეთ დღევანდელი, ბათუმში ნათქვამი, ბათუმში თქვა ასეთი რაღაცა...

**ძ-** შეცდომა იყოო.

**კ-** შეცდომა იყოო. ანუ უნდა მოუსმინოთ ამას, ამას პირველი პირები საუბრობენ. ანუ იცილებენ პასუხისმგებლობას, პროკურატურა იცილებს, სააკაშვილი იცილებს, ბურჯანაძე იცილებს, ანუ თქვენთან რაც ხდება, უჩვენოდ ხდება. თქვენმა ხელმძღვანელობამ უნდა გაიაზროს და გაანალიზოს, რას ნიშნავს ეს ყველაფერი და როგორ უნდა დაფინანსდეს. სერიოზულად უნდა მოხდეს რეაგირება, არ არის უტვინო ბიჭი თქვენი უფროსი, პროსტა იმიჯი აქვს ეგეთი, თორემ ტვინი უჭრის, მე ახლოს ვიცნობ, ძალიან.

**ძ-** პოლიტიკაში იყო, ხომ?

**მ-** ეს ჩვენი რამე ცვლის იმ გეგმას?

**კ-** არაფერს, უბრალოდ შეშინდება ის და ჩვენ გვაწყობს ის რომ შეშინდეს.

**მ-** მე მგონი როგორც ვსჯელობთ, როგორც ვფიქრობთ, მე მგონი ამას თუ რამეს აპირებთ, მე მგონი ერთი თვე, ორი თვე, სამი თვე, აქ არაფერი არ შეიცვლება.

**კ-** მე გეუბნებით, რომ აღიარონ, თუნდაც რომ გაიმარჯვონ, მე გეუბნებით, რომ ჩესნად რომ მოიგონ, იმას უნდა აღიარება... მე რომ ვიყრიდი კენჭს მაგალითად, ჩემმა ოპონენტმა გააკეთა, შევარდნენ ერთ უბანში, დაარბიეს, გაიტაცეს რაღაცა, უნდა გააუქმო ეს, მეორე უბანშიც ესე... სამ უბანში რომ მომხდარიყო ესეთი რაღაცა, არჩევნების შედეგები უქმდებოდა და იძულებული გავხდი, ჩავაკეტინე ყველაფერი ყველგან.

**მ-** 4 ათასი საარჩევნო უბანია.

**კ-** ვერ გააკონტროლებ, ფიქსაცია მოხსნილია, მარა რომც არ მოხდეს, რას გეუბნები, მაინც სჭირდება აღიარება. აი, ეს სიები გვიკავია, ეხლა ჩავატარეთ ერთობლივი შემოვლა, სიები გვიკავია, სადაც 214 ათასი კაცი არის გაორებული შიგნით, ერთი და იგივე კაცი, 214 ათას სიაში არის ჩაყრილი. აქედან მარტო თბილისში არის 5 ათასი მკვდარი შეყვანილი.

**მ-** ხო.

**კ-** ისეთი დარღვევებია ამ სიებში, სულ რომ ჩესნად მოხდეს ყველაფერი, ჯერ ერთი ჩესნად რომ მოხდეს, ვერანაირად ვერ იგებს, ახლა ატყდება ამბავი ისეთი, რომ, ალბათ, აქცია მოჰყვება ამას. მერე რაც არ უნდა ამტკიცოს ხელისუფლებამ, არაფერს არ ვაყალბებ, ფონი შექმნილია. მაშინ რაში დაგჭირდა სიების გაყალბება, თუ არ აყალბებ? ჩვენ შევეცდებით ეს სურათი დავხატოთ ძალიან მშვიდობიან ფორმაში, არავითარი აგრესია, ვეტყვით, რომ ყალბდება და დაგვეხმარეთ.

**მ-** ხალხი გამოვა.

**კ-** ხალხი გამოვა, რა თქმა უნდა, ჩვენ გამოვიყვანთ მანდ ხალხს, სხვა არავითარი გადაჭარბებით. წინასწარ შეტყობინებას მივცემთ, რომ ვატარებთ მშვიდობიან მანიფესტაციას, მაგრამ ვიმოძრავებთ ამ ქუჩებზე, არსად არ დავდგებით, მაგრამ მსოფლიოს დავანახებთ, რომ ამის გამო გამოდის ხალხი, რომ სიები გაყალბებულია. 2003 წელს, მაგალითად, ასე დაიწყო, ხო? 2 ნოემბრიდან 18 ნოემბრამდე მთელი აქციები იმაზე იყო, რომ სიები იყო გაყალბებული, შედეგები გავუუქმეთ.

**კ-** თუ გააყალბა, მაშინ ვინ დაუმტკიცებს გაყალბებულ შედეგს? ანუ ვერანაირად ვერ იღებს, ორივე შემთხვევაში ის დასაჯდომია მაგიდასთან, ჩვენთან აქვს გასარკვევი, სხვა შემთხვევაში, ის ვერაფერს ვერ იღებს.

ის. 4 გვ.

№ 26. სამშაბათი, 12 თებერვალი, 2008 წელი.

# მკითხველის თხოვნით

• შანსი არ არსებობს, მსოფლიო ჩაერევა და არ დააჭერინებს, ჩვენ გავაპიარებთ. არა, ასე არ შეიძლება, ჩვენ ჩესნად უნდა ვითამაშოთ




◎ სკანდალი

# ფარული ჩანაწერის სრული ვერსია

**ვალერი გელბახიანის ოჯახმა „ინტერპრესნიუსს" გელბახიანისა და კოდუას სასტუმროში შეხვედრის ფარული ვიდეოჩანაწერის სრული ვერსია მიაწოდა**

(მესამე გვერდიდან)

**მ-** დაჯდებიან მერე მაგიდასთან?

**კ-** მაშინ ვერ დაიკანონებს თავს, გამორიცხულია, რომ თავი დაიკანონოს.

**მ-** მაშინ ჩვენ გეგმებს აზრი აღარ აქვს.

**კ-** არა, მაგიტომ გეუბნები, თუ წინასწარ არ იქნა... ამერიკელი, იმიტომ ფიქრობდა ამას, რომ დავაჯენ ყველას ერთ მაგიდასთან, დავილაპარაკებთ თამაშის წესებზე, გაყოფაზე, უკრაინაში რაც გააკეთეს.

**მ-** ხო.

**კ-** გაყოფის შემთხვევაში ტარდება პოლიტიკა და ცალკე არ ლაგდება პოლიტიკა, ესეა სერიოზულ ქვეყანაში და ეხლა როგორ გინდა? შენ რომ სურვილი გაქვს ეგ ერთია და მეორეც არის საშუალება, რითი აკეთებ ამას... ეხლა, წეღან ლევანს ველაპარაკებოდი, ბეჟაშვილს. არ არის აგრესიული ტიპი, მაგი იგივეს ამბობს, კიო, ეხლა მოგებით კი მოვიგებთო, მაგრამ მერეა, რა, მერე ცალკე თემაა.

**ძ-** არა, ეს მერე რა, ჩვენი გეგმა, ასე არ აწყობს?

**კ-** არა, ასე რატომ ვიხილავთ, ანალიზია ხომ ყველაფრის... ეს ისეთი თემაა, რომ მე ლიჩნად გადაწყვეტილების მიღებაში არ ვარ სანდო. რა გაგებით ვამბობ, იცი, მე არ ვარ გადაწყვეტილების მიმღები, მე არ ვარ პასუხისმგებელი რაღაცაზე, ვინც არის პასუხისმგებელი, ერთი და მეორე, ეს ორი ადამიანი რაღაცა ნდობაში უნდა შევიდეს.

**მ-** შეხვდეს ერთმანეთს.

**კ-** ნდობაში თუ შევიდა, ხო. არის ნდობის ფაქტორები... მე არც თქვენთვის მითქვია, არც მისთვის მითქვია, მესამე პირი, ყოველთვის ფიქრობს, რომ ვაითუ ამან ეს ქნას, ხო? ისეთი სიტუაციაა, რომ კარგად თუ გევაჭრენ, შეიძლება ფიფთი-ფიფთი დააყენო სიტუაცია, ხომ? როგორ არის, ჩვენც ვევაჭრებით ვილაცეებს ჩვენ ბანაკში და ისინიც ევაჭრებიან ჩვენს ბანაკში. თუ ერთმა გადაათამაშა, ირევა კარტი ხელში, ხომ?

**მ-** ღმერთმა არ ქნას. აქ ერთი ვარიანტია, თქვენ იცით ესეთი ერთი ბაზა, შავნაბადა... მაგ კაცი უნდა ჩავთვალოთ, რომ ჩვენთან არის, მაგასთან მე მქონდა რაღაცაზე საუბარი და უკვე შემიძლია, რომ ბოლომდე ვესაუბრო. შეიძლება თქვენც შეგახვედროთ, თუ გინდათ.

**კ-** არა.

**მ-** მაგი ისეთი, ცოტა სხვა თემაა.

**კ-** არ არის საჭირო.

**მ-** რომ იძახიან კუდ-ის სპეცნაზი, კუდ-ს სპეცნაზი არ ჰყავს, ეგ ჩემი სპეცნაზია. უბრალოდ, ეგენი იყენებენ მაგას, არის შავნაბადაზე, ჰყავთ ორი სპეცნაზი, ორივე ჩათვალეთ, რომ ჩემია, მე რომ რაღაცეები მქონდეს აწყობილი, შეიძლება გავაჩერო, არ არის პრობლემა, შეიძლება ვაზში გავაჩერო ყველაფერი, მართლა პრობლემა არ მაქვს, არანაირი, თუ საჭირო იქნება. მით უმეტეს, თუ კარგი იქნება.

**კ-** სამშაბათს რომ შეხვდეთ, კარგი იქნება.

**მ-** რა ვიცი, ეხლა თქვენი გადასაწყვეტია.

**ძ-** მე რატომ არ მენდობით, ბატონო ვალერი. მე ირაკლი მენდობა.

**კ-** არა, არა, ჩემ თავზე ვსვამ კითხვებს და ეხლა არ მინდა იმ კაცს გავუჩინო კითხვები.

**კ-** ერთი რამეა, აწიე მაგ თემა.

მ- ევაჭრებიან.

**კ-** ხო ვაჭრობაა.

**მ-** ვანოს რომ არ მოხსნის არავინ, ეს ფაქტია.

**კ-** არა, არ არის ესე, არ არის სამწუხაროდ ესე, ვანოს არ მოხსნის, ვანო დაწერს განცხადებას და წავა, თუ ეტყვის ეს. ეხლა გამომიყვანე ამ სიტუაციიდან, გთხოვ, წადი და შენ მე მოგხედავ, რაც ირაკლის უთხრა. ნუ ფიქრობთ მასე, ნუ ფიქრობთ, იმიტომ, რომ თამაშია ეს. თქვენ გგონიათ ჩვენს დონეზე და ჩვენი შეხედულებით მიდის პროცესი, ყველა დიდი სახელმწიფო ამ დროს იყენებს თავის ყველა საშუალებას და ბერკეტს, რომლის სასარგებლოდ განვითარდეს მოვლენები...

**მ-** ბადრისი?

**კ-** კი, ყველასთან მუშაობენ მაგრად, ფრანგებთან მუშაობენ მაგრად, გერმანელებთან, ინგლისელებთან, ამერიკელებთან, ყველა რესურსები ჰყავთ გამოყენებული ენ-დი-აისი, ბუშთან მაგალითად, მე ვიცი რამოდენიმე შეხვედრა, მერდოკი ჰყავს გამოყენებული სერიოზულად დემოკრატებთან, ინგლისში ლორდთა პალატა ჰყავთ გამოყენებული თავიდან ბოლომდე...

**მ-** ჩემამდე ესე მოვიდა.

**კ-** არაფერია, მე გეტყვი ძალიან მარტივად, ვიცი.

**მ-** სიტუაციები რაღაცეები ნახესო და გიორგი აღარ არის ბადრისიო.

**კ-** მოდი, გეტყვი მაგასაც რა. გიორგის აქვს დავალება ეგეთი, რომ მაგან უნდა აჩვენოს, რომ ამ მოვლენების შემდეგ რაც მოხდა "იმედზე", დიდი შინაგანი შიში აქვს, მთელ კოლექტივში.

**მ-** წამოვიდა, ერთი, სამი, ოთხი, ეკა ხოფერია წამოვიდა.

**კ-** მაგაზეა და მეორე, ბოლომდე სჯობია ბოლომდე სათქმელი. ამ შემთხვევაში გიორგიმ სვლა უნდა გააკეთოს პოლიტიკაში, გიორგი უნდა წამოვიდეს პოლიტიკაში, ყალიბდება ახალი პოლიტიკური პარტია და გიორგი იქნება იმისი თავმჯდომარე. მაგან ეხლა რომ დაიწყოს ძალიან მწვავე ფონის შექმნა, მე დარწმუნებული ვარ, რომ მიხნიკი ველარ უშველის მაგას, კვლავ წავა ხელისუფლებიდან, აი, ხომ ხედავთ, ბალანსს არღვევს, მიუხედავად იმისა, რომ გახსენით და შეიტრიალებს თავის სასარგებლოდ ამ პიარს, გაიგე? ამიტომ, გიორგიმ უნდა მოაჩვენოს ეგ, ამას.

**მ-** ხო.

**კ-** აჩვენებს კიდეც, რომ ყველანაირად ვიცავ ბალანსს, შეშინებული ვარ, საფრთხის ქვეშ ვარ...

**კ-** ჩემს ხელში გაზრდილი ბავშვია.

**მ-** აი, ბოლო ხანებში ძალიან შეშინებული დადის, ბრონი მანქანით დადის.

**კ-** ხო... ეხლა მინდოდა თქვენი იქით შეხვედრა, ის იძახის ჩამოვალო. მე დღეს ვუთხარი, არ ჩამოხვიდე, აპირებს ჩამოვიდეს. დაახლოებით ერთი ათასკაციან დაცვაზეა ლაპარაკი. დაცვა ოფიციალურ დაცვაზე არა, სახალხო დაცვაზეა საუბარი, რა.

**მ-** მთავარია, ხალხი გამოვიდეს.

* * *

**მ-** მალე ჩამოვა?

**კ-** არა, რამე მოხდეს იცი რა, ჩვენთან შტაბში არის ორი-სამი კაცი, ვინც იძახის, ავთო ეუბნება მაგას, ჩამოვიდეს, თუ დაიჭერენ ვაფშე, დაიჭირონ, ბოლობოლო შანსი არ არის, რომ არ გამოაშვებინონ, ხო? შანსი არ არსებობს, მსოფლიო ჩაერევა და არ დააჭერინებს, ჩვენ გავაპიარებთ. არა, ასე არ შეიძლება, ჩვენ ჩესნად უნდა ვითამაშოთ. ამ საქმეში არ შეიძლება ასე თაღლითობა, ეგ არის პოლიტიკური თაღლითობა, მან არ იცოდეს და შენ გაუგორო.

**მ-** მასეთი რამე...

**კ-** არა, ცუდი კი არა, არ უნდა წახვიდე მაგაზე. მე შეიძლება კვირას წავიდე ერევანში.

**მ-** ორშაბათს საღამოსთვის... კარგად ბრძანდებოდეთ.

**კ-** კარგად.

ისე თქვი, ის რეკომენდაციები ნახეთ, ერთი მაგას ანახე, მგონი ჩვენ გვიპირებენ რაღაცასო, რეაქცია მაინტერესებს.

**მ-** ვის?

**კ-** ვანოს.

**მ-** ხო.

**კ-** ორი უკვე გამოცემულია.

**მ-** ხო.

**კ-** ორი ოფიციალურ საიტებზეა.

**მ-** აჰა. კი ვიცი, ეგენი, ვეტყვი ვანოს, პრობლემა არ არის.

**კ-** იქ ერთი რეკომენდაციაა, ზუსტად მაგას... შსს მაღალ თანამდებობრივი პასუხისმგებლობის პირებზეა საუბარი. მიუტანე, ნახე, რას ნიშნავს ესა, ამათი დედაც, მიაკურთხე, ის გეტყვის რაღაცას, ან გეტყვის – ამათი დედაც... მე რისი მეშინია, ჩესნად ვიტყვი, თუ იმან დაინახა, რომ ეს საფრთხე მოდის მაგის წინ, ის თავის სვლას გააკეთებს...

**მ-** გავიგებ, შევეკითხები.

**კ-** არა, შეგიძლია ძალიან ისე, ჩესნად უთხრა.

**მ-** კი, გავიგე.

**კ-** ამათი დედა, ნახე ბიჭო, რეებს წერენ. ეს რომ რეალობა იყოს, მერე რას ვშვრებით.

**მ-** მაგაზე ეხლა რომ ვთქვათ, ვანო, მაგაზე რეაქციას, ყურადღებას რომ არ აქცევს, ეგ არის ფაქტი.

**კ-** ნუ, არ ვიცი, შეიძლება წაკითხული ჰქონდეს... არა, უნდა წაიკითხო რა ჩანს იქ, ყველაფერი. ამას თუ იზამ, ამაზე დაგიხუჭავ თვალს, დაახლოებით ეგეთ რაღაცეებს ეუბნებიან.

**მ-** თუ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, მაგაზე კარგი რა არის.

**კ-** ყველაზე კარგი.

**მ-** არა, ჩვენზე კი არ ვიძახი, ქვეყანაზე ვამბობ. ჩვენ რა, მაგათი გადათამაშებით, ქვეყანას რა...

**ძ-** ბატონო ვალერი, აი, კონკრეტულად რომ ვილაპარაკოთ, ფული არის, ძალა მიგაჩნიათ რომ არ გყოფნით?

**კ-** ფული სხვაზე მეტი, იმაზე მეტი სხვებსა აქვთ და მეორე სახელმწიფო, სულ გიყიდის მთლიანად, რომ დასჭირდება. ოღონდ შეფუთვა სჭირდება, ისეთი კოსმეტიკა სჭირდება, რომ არ მიეწერება მას, ესეთი კოსმეტიკები არის სხვათა შორის ხელისუფლების შიგნით. ხელისუფლების გარეთ ესეთი კოსმეტიკები, არ არსებობს. შიგნიდან ხდება ყველაფერი.

**ძ-** გაიგეს, რა, ზოგადი საუბრები როდემდე?

**კ-** მე არანაირ ზოგადად არ ვსაუბრობ, უკვე შევთავაზე იმ კაცს შეხვდეს. თუ არადა, მაშინ მე უნდა წავიდე წინადადებით.

**მ-** ძაან კარგი იქნებოდა, ერთი ერთში რომ გვენახა ერთმანეთი, მაგრამ ჩემი წასვლა აქედან დიდი პრობლემაა.

**კ-** ამიტომ, სამი დღე დავაკვირდები, რაღაცა ინფორმაცია მე მექნება აუცილებლად, თუ რაიმე იცვლება. იმიტომ, რომ ის ძალიან მოშნად მუშაობს, განსაკუთრებით დიპლომატიურ წრეებზე, თვითონ კი არა მარტო, მთელი მისი „აკრუჟენია".

**ძ-** ნეტა ეგენი გამოიყენოს იმაში, რომ ამ შესრულებული სამუშაოს მხარდაჭერაში გამოიყენოს.

**კ-** მაგან იცის, როგორ გამოიყენოს, მაგრამ მე გეუბნები სხვა რამეს. დიპლომატიურ არხებს იყენებს მაქსიმალურად, რომ ფონი შექმნას, აბა ტანკით კი არავინ მოვა. უბრალოდ, ფონი უნდა შექმნას, მას უნდა ზუსტად რომ აღიარონ ყველაფერი... საუბარია იმაზე, რომ აქ ხელისუფლება ჩალიჩობს, იმიტომ, რომ ეშინია, ჩვენი მიზანი ერთია, დავანახოთ უცხოელებს, რომ ეშინია სააკაშვილს, იმიტომ გვიშვება ასეთ რაღაცეებს და მისი ჩამოსვლა ნიშნავს, რომ მოიგოს არჩევნები. როცა პოლიტიკურ ელიტასთან მიდიხარ ამ მოლაპარაკებაზე, მას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, რომ ეს მართლაც ასეა, გამიგე? არა მოგონილი, არა შეთითხნილი, არამედ რეალურად ასე არის. ეხლა თუ არ ჩაერიე, მაშინ გაგექცევა სიტუაცია, კონტროლიდან. ეს არის და ეს, ამის ტექნოლოგია. ეს გარედან, ჩვენ შიგნიდან, ამ სურათს ვხატავთ, ნებისმიერი სვლა უნდა იყოს კანონიერი. აი, ამაზე არის მთელი კონსტრუქციები მიმართული.

**მ-** გიორგიზე იძახიან კიდევ, ცოტა ცუდ რაღაცეებს, თარგამაძეზე.

**კ-** რაო?

**მ-** შეიძლება სხვისი გახდესო.

**კ-** გამორიცხე მაგი.

**ძ-** ვუთხარი და არ მიჯერებს.

◎ ინფორმაცია

## საქართველოში რუსეთის საარჩევნო უბანი გაიხსნა

რუსეთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით, საქართველოს ტერიტორიაზე ერთი საარჩევნო უბანი გაიხსნა, – ამის შესახებ საქართველოს რუსეთის ფედერაციის სექციიდან იტყობინებიან.

საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც საქართველოში რუსეთის საელჩოს შენობაშია განთავსებული მუშაობას 8 თებერვალს შეუდგა.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ რუსეთის მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ ხმის მიცემის უფლება 2008 წლის პირველ მარტის ჩათვლით შეუძლიათ მიმართონ საარჩევნო კომისიას წერილობითი ფორმით, რათა მათი მონაცემები შეიტანონ ამომრჩეველთა სიაში.

ასევე შესაძლებელია ზეპირი განცხადება, არჩევნების დღეს უშუალოდ საარჩევნო უბანში.

საუბნო საარჩევნო კომისია არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე რუსეთის მოქალაქეებს მიიღებს სამშაბათობით და ხუთშაბათობით 10-დან 13 საათამდე და 15-დან 17 საათამდე, მისამართზე ჭავჭავაძის გამზირი 51, ტელ: 91-24-06.

ხმის მიცემის პროცედურა გაიმართება 2 მარტს დილის 8-დან 20 საათამდე, საელჩოს შენობაში.

ბათუმში ვადამდელი ხმის მიცემა გაიმართება 17 თებერვალს კოლეჯის „ევრო-2000"-ის, ახალქალაქში კი 24 თებერვალს, მომხმარებელთა კოოპერატივის შენობაში.

ჯი-ეიჩ-ენი

№ 26. სამშაბათი, 12 თებერვალი, 2008 წელი.

# შინ და გარეთ

## • მოლაპარაკებათა პროცესში ისედაც ცუდ მდგომარეობას სააკაშვილის რიგი განცხადებები კიდევ უფრო აღრმავებს





◉ თვალსაზრისი

## საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარდა ტაბუ არც ერთ თემას არ ადევს

**ქართული მხარე, სეპარატისტულ აფხაზეთთან დიალოგის დაწყების, სოხუმთან ერთად აფხაზეთისთვის ეკონომიკური სანქციების მოხსნისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე გამავალი სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენის საკითხების განხილვისათვის მზადყოფნას გამოთქვამს. ამის შესახებ სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენს“ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა განუცხადა.**



„ჩვენი შეთავაზება კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ თბილისი მზადაა სოხუმთან მოლაპარაკებები დაიწოს. ჩვენ არაერთგზის განგვიცხადებია, რომ ყოველთვის მომხრე ვიყავით აფხაზეთთან მშვიდობიანი მოლაპარაკებების წარმოებისა და აღნიშნული წინადადებაც ამის კიდევ ერთი დასტურია. გვსურს, აფხაზურმა მხარემ კარგად იცოდეს, რომ ჩვენის მხრიდან მათთან დიალოგის წარმოებისას ტაბუ არც ერთ თემას არ ადევს. მზად ვართ ვისაუბროთ ყველაფერზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარდა“, – აცხადებს იაკობაშვილი „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში და დასძენს, რომ მაგალითად თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმებას და სერგეი ბაღაფშისა და მიხეილ სააკაშვილის პირისპირ შეხვედრას, რომელსაც ასე დაჟინებით მოითხოვს აფხაზური მხარე, ძალიან დიდი მომზადება სჭირდება.

„რეალური საკითხების გადასაწყვეტად დიალოგის დაწყება კი საბოლოო ჯამში ამგვარი შეხვედრის შესაძლებლობაც არ გამოირიცხება“, – აცხადებს სახელმწიფო მინისტრი.

იაკობაშვილი დარწმუნებულია, რომ რუსეთი უნდა მონაწილეობდეს ამ პროცესში, მით უფრო, როდესაც საუბარი მიდის აფხაზეთის ტერიტორიიდან რუსული სამშვიდობო კონტინგენტის გაყვანაზე.

„მსურს განვაცხადო და დავაფიქსირო, რომ რუსულმა სამშვიდობო კონტინგენტმა, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონში არსებობისას, დიდი როლი შეასრულა – როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი. მაგრამ ამ ქვეყანაზე ყველაფერს გასდის ვადა, ასევე – რუსულ სამშვიდობო კონტინგენტსაც. მაგრამ ჩვენი პოზიციაა არა მათი გაყვანა არამედ მათთვის ფუნქციების შეცვლა, რაც თავის მხრივ ასევე მოლაპარაკებათა საგანს წარმოადგენს“, – აცხადებს იაკობაშვილი.

რაც შეეხება საქართველოსა და აფხაზეთს შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობას, იაკობაშვილის თქმით, ამგვარი ხელშეკრულების გაფორმება შესაძლებელია, თუმცა მხოლოდ იმ პირობით, რომ მისი შესრულების გარანტად მძლავრი საერთაშორისო ორგანიზაციები და აუცილებლად რუსეთის ფედერაცია უნდა იქცეს.

ჩვენი შეთავაზებები აფხაზური მხარისათვის, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მოლაპარაკებისკენ გადადგმული ნაბიჯია. პრაქტიკულად, ეს პროცესი ნულიდან იწყება და იმედი მაქვს, რომ მისი დაწყებისა და გაგრძელების შემთხვევაში დადებით შედეგებს ნამდვილად მივაღწევთ, – აცხადებს თემურ იაკობაშვილი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ ჩიხი

*აფხაზეთის თვითალიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში საქართველოს პრეზიდენტისგან ბოდიშის მოხდას ელის. იგი მიიჩნევს, რომ შევარდნაძის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო სააკაშვილის მიერ ბოდიშის მოხდა პრეზიდენტის ავტორიტეტს აამაღლებდა. სოხუმი-თბილისის ურთიერთობების პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი“ სერგეი ბაღაფშს ესაუბრა.*

## ბაღაფში: სააკაშვილთან შეხვედრის საფუძველი არ არსებობს

**– ედუარდ კოკოითი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას ითხოვს. გაქვთ თუ არა თქვენც ასეთი სურვილი და როგორ ფიქრობთ, მოიტანს თუ არა შედეგს ამგვარი შეხვედრა?**

– მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის თემას დიდი ხანია ბევრი განიხილავს, მაგრამ ჩვენი პოზიცია უცვლელი რჩება. ასეთი შეხვედრა შესაძლებელია, მაგრამ თუ ის მოლაპარაკებათა პროცესში რეალურ გარღვევას მიეძღვნება. ასეთ გარღვევად ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა და კოდორის ხეობაში მოსკოვის შეთანხმების შესაბამისი სტატუს-კვოს აღდგენაა.

დღეისთვის საქართველოს ხელისუფლება ამისთვის მზად არ არის და, შესაბამისად, სააკაშვილთან შეხვედრის საფუძველი არ არსებობს. ამასთან, მოლაპარაკებათა პროცესში ისედაც ცუდ მდგომარეობას სააკაშვილის რიგი განცხადებები კიდევ უფრო აღრმავებს. მათ შორის განცხადება იმის შესახებ, რომ ქართული მხარე არ არის დამნაშავე აფხაზეთის, აფხაზური ეთნოსის წინააღმდეგ ომის გაჩაღებაში, აფხაზი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის განადგურებაში. არ არსებობს რეალურად ჩადენილი დანაშაულისთვის ბოდიშის მოხდის განზრახვაც. სააკაშვილი შევარდნაძეზე გაცილებით მომგებიან მდგომარეობაში იყო და სხვის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო ბოდიშის მოხდა ახალი პრეზიდენტის ავტორიტეტს მხოლოდ აამაღლებდა, მაგრამ როგორც ვხედავ, სწორედ ეს არის ნოე ჟორდანიას დროიდან მოყოლებული აფხაზეთთან მიმართებაში ქართული პოლიტიკის მემკვიდრეობითობა. გარდა ამისა, თბილისის მოვლენებისა და უკანასკნელი არჩევნების შემდეგ თავად სააკაშვილის ლეგიტიმურობა დასუსტდა.

**– დნესტრისპირეთი უკვე საუბრობს მოლდოვასათნ ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობაზე. შესაძლებელია თუ არა პოლიტიკის ამგვარი შემობრუნება სოხუმისა და თბილისის შემთხვევაში? (დნესტრისპირეთის დე ფაქტო პარლამენტის სპიკერმა ევგენი შევჩუკმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ არ არის გამორიცხული, დნესტრისპირეთის პოლიტიკა მოლდოვასთან საერთო სახელმწიფოს შექმნის მიმართულებით შემობრუნდესძ.**

– დნესტრისპირეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობისგან ამგვარი არც ერთი ოფიციალური განცხადება არ მომისმენია. რაც შეეხება საქართველოსა და აფხაზეთს, ჩვენს გზაზე არანაირი შემობრუნება არ იქნება.

**– აპირებთ თუ არა რეინტეგრაციის სამინისტროსთან თანამშრომლობას? თქვენთვის უწყების დასახელებაა მთავარი თუ საქმე? მინისტრი თემურ იაკობაშვილი აცხადებს, რომ აქცენტის გაკეთებას ჰუმანიტარულ საკითხებზე აპირებს...**

– ამ საკითხზე ჩვენი პოზიცია ცნობილია. ამ უწყებასთან კონტაქტი არ იქნება. რაც შეეხება სახელწოდებას, თუ მასში გარკვეული აზრი არ არის ჩადებული, რა საჭირო იყო სახელის შეცვლა? იმისთვის, რომ ჰუმანიტარულ საკითხებზე იმუშაონ, სახელის შეცვლა სულაც არ არის საჭირო ან შეიძლებოდა მისთვის, მაგალითად, ჰუმანიტარული აქციების სამინისტრო გეწოდებინათ.

**– სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი აცხადებს, რომ კონფლიქტის მოგვარების ყველა მექანიზმი გადასახედია. როგორ ფიქრობთ, რომელი მექანიზმებია უსარგებლო?**

– ზემოთნათქვამი მიზეზების გამო, თქვენი მინისტრის განცხადებების კომენტირებას არ ვაპირებ.

**– როგორი უნდა იყოს მინისტრ იაკობაშვილის პირველი ნაბიჯი და სტრატეგია, რომ იგი სოხუმმა მიიღოს?**

– თბილისში ეს კარგად იციან.

**– როგორ შეაფასებთ გაეროს გენერალური მდივნის ბოლო ანგარიშს აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით?**

– გენერალური მდივნის ანგარიშის აფხაზეთის შეფასება ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაახმოვანა. ჩვენ მასში ქართული მხარის პროვოკაციებისა და პროპაგანდისტული მიზნებისთვის არაშესაბამისი საშუალებების გამოყენების შესახებ საერთაშორისო თანამეგობრობის დადასტურება დავინახეთ. ქართული მხარის ქმედებები, საბოლოო ჯამში, მოლაპარაკებათა პროცესზე უკიდურესად უარყოფითად აისახა. ჩვენ ვიზიარებთ გენერალური მდივნის შეშფოთებასაც არსებული მდგომარეობის გამო.

**მანანა მჭედლიშვილი**

◉ კომენტარი

## არც ერთ გამოხდომას უპასუხოდ არ დავტოვებთ

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თემურ მჟავია სერგეი ბაღაფშის მთავრობის გალის რაიონის ე. წ. რწმუნებულის რუსლან ქიშმარიას განცხადებას სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას „უსაფუძვლო პროვოკაციას“ უწოდებს. მისი თქმით, ქიშმარიას განცხადების მიხედვით, სეპარატისტები გაზაფხულზე ენგურსგამოღმა, ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე აპირებენ შემოჭრას.**



სააგენტოსთან საუბრისას მჟავია აცხადებს, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი განცხადებები აფხაზი სეპარატისტების ლიდერების მხრიდან უკვე დიდი ხანია კეთდება, დღეს ძნელია პროგნოზის გაკეთება, გაბედავენ ამ უაღრესად პროვოკაციული ნაბიჯის გადადგმას სეპარატისტები თუ არა.

„თუ სეპარატისტები ამას რეალურად აპირებენ, მარტო ისინი ამას ვერ გააკეთებენ, ამისათვის კრემლში უკვე მომზადებული უნდა იყოს პროვოკაციის გეგმა, რომლის შემსრულებლები, რა თქმა უნდა, აფხაზეთში მოიძებნებიან“, – აცხადებს მჟავია და კიდევ ერთხელ დასძენს, რომ ქართული სახელმწიფო მის წინააღმდეგ განხორციელებულ არც ერთ გამოხდომას რეაგირების გარეშე არ დატოვებს.

„სოფლები, რომლებსაც რუსლან ქიშმარია თავის პროვოკაციულ განცხადებებში ასახელებს – ფახულანი და განმუხური – ზუგდიდის რაიონში მდებარეობს. მისივე ლოგიკით რომ ვიხელმძღვანელოთ, ისინი ზუგდიდის რაიონში აპირებენ შემოჭრას“, – აცხადებს მჟავია და დასძენს, რომ მას ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას აძლევს ის, რომ თავად სეპარატისტი აფხაზები საქართველოსა და აფხაზეთის ე.წ. სახელმწიფო საზღვრად მდინარე ენგურს ასახელებენ.

„მინდა ყველას გასაგონად განვაცხადო, გალისა თუ ზუგდიდის რაიონები ეს ერთიანი საქართველოს ტერიტორიებია და ქართული სახელმწიფო ჯეროვან წინააღმდეგობას გაუწევს მას, ვინც მის ხელყოფას შეეცდება. იქნება ეს შიდა მტერი თუ გარე მოწინააღმდეგე“, – განაცხადა მჟავიამ.

შეგახსენებთ, რომ გალის რაიონში აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის სერგეი ბაღაფშის წარმომადგენელმა რუსლან ქიშმარიამ ქართულ მხარეს ულტიმატუმი წაუყენა.

აფხაზურ ტელევიზიაში გამოსვლისას ქიშმარიამ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ენგურს გაღმა მდებარე ქართული საგუშაგოებიდან პოლიციის ქვედანაყოფები ზაფხულისთვის არ გავლენ, აფხაზური მხარე სოფელ ფახულანისა და განმუხურის გათავისუფლების ოპერაციას დაიწყებს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

◉ განცხადება

**სერგეი ივანოვი:**

## რუსეთი არ აპირებს, კოსოვოს ცნობის მეორე დღესვე აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა

**კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების საპასუხოდ, რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს.**

**როგორც სააგენტო „რია ნოვოსტი“ იუწყება, ეს განცხადება რუსეთის ფედერაციის პირველმა ვიცე-პრემიერმა სერგეი ივანოვმა მიუნჰენის საერთაშორისო კონფერენციაზე გააკეთა.**

**ივანოვმა რიგი დასავლელი პოლიტიკოსების მოსაზრებას, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობისთვის რუსეთი კოსოვოს აღიარებას ელოდება, უსაფუძვლო უწოდა.**



◉ საპროგრამო წერილი

## ჯონ მაკკეინი საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანების შესახებ

**„საქართველომ და უკრაინამ გამოხატეს სწრაფვა შეუერთდნენ ნატოს წევრობის გეგმას და ჩვენ მათ ეს ბუქარესტის სამიტზე უნდა შევთავაზოთ“, – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა, რესპუბლიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა თავის საპროგრამო წერილში განაცხადა.**



წერილი მიუნჰენის კონფერენციაზე გავრცელდა. მაკკეინი ამ კონფერენციის უცვლელი მონაწილე და ამავე ფორუმის 2006 წლის „მშვიდობის პრემიის“ ლაურეატია, თუმცა საპრეზიდენტო მარათონის გამო წლევანდელ კონფერენციას ვერ ესწრება.

საპროგრამო წერილში მაკკეინი აღნიშნავს, რომ აუცილებელია მსოფლიოში დემოკრატიული პრინციპების დაცვისა და გაფართოების მიზნით ნატოს წევრი სახელმწიფოების ხელმძღვანელობით გლობალური დემოკრატიული ლიგის ჩამოყალიბება. მან ასევე ხაზი გაუსვა უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანებასა და კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას.

აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი მიიჩნევს, რომ პირველი ნაბიჯი ნატოს ასაღორძინებლად შეიძლება გაკეთდეს ბუქარესტის სამიტზე, სადაც ალიანსი უნდა გამოვიდეს ინიციატივებით, მათ შორის საქართველოსა და უკრაინასთან, კოსოვოსა და სერბიასთან, ავღანეთთან, ნატოს გაფართოებასთან მიმართებაში და ასევე ახალ გლობალურ პარტნიორობაზე.

– საქართველოს და უკრაინას რუსეთის სახით რთული მეზობელი ჰყავთ, აქვთ შიდა პრობლემები. ისინი ახალგაზრდა დემოკრატიები არიან, მათი გზა იქნება რთული, მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ მათ ყოველ ნაბიჯს ამ გზაზე და შეგვიძლია ეს მათ ვაჩვენოთ ბუქარესტში გამოცხადებული მხარდაჭერით, – ნათქვამია ჯონ მაკკეინის საპროგრამო წერილში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# სპორტი

● ამჯერად გუნდები ეროვნულ სტადიონზე ევროპის ერთა თასზე გადახალისებული შემადგენლობებითა და ახალი მწვრთნელებით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პორტუგალიელებთან მოგებით წახალისებულმა მასპინძლებმა პირველი წუთებიდანვე შეუტიეს მეტოქეს



## ◉ ორბიტაზე

### ჩაკვეტაძის გამარჯვება



**მოსკოველმა ქართველმა ჩოგბურთელმა ანა ჩაკვეტაძემ მორიგი დიდი გამარჯვება მოიპოვა. პარიზში, მეორე კატეგორიის ტურნირზე, რომლის საპრიზო ფონდი 600 ათასი დოლარი იყო, მან წარმატებით იასპარეზა.**

მეოთხედფინალში მან მასპინძელი, ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ამელი მორესმო გამოითიშა შეჯიბრებიდან, 3:6, 6:3, 6:3, ხოლო ნახევარფინალში ისევ ფრანგი მარიონ ბარტოლი „გაამწარა“ – 2:6, 6:2, 6:0. ფინალში მისი მეტოქე იყო უნგრელი აგნეშ სავოი, რომელმაც ასევე ბევრ ავტორიტეტს (ჰანტუხოვა, დემენტიევაძ გადაუკეტა გზა ფინალისკენ, ანამ პირველი სეტი 6:3 მოიგო, მეორე კი წააგო – 2:6. მესამე სეტში ჩაკვეტაძემ კვლავ წარმატებით იასპარეზა და გაიმარჯვა 6:2.

### მარადონამ ვერ გაიტანა

**ფეხბურთის ლეგენდა, არგენტინელი დიეგო მარადონა თაყვანისმცემლებმა კვლავ იხილეს მინდორზე – ის მონაწილეობდა საქველმოქმედო მატჩში არგენტინა-ჩილე. ამ ქვეყნების ნაკრებები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ პატარა მოედანზე, რომლის ზომაა 42 მეტრი 22 მეტრზე. შეხვედრა ორტაიმიანი იყო, თითოეული 25 წუთი.**

დაძაბული ასპარეზობა დამთავრდა ჩილეს ნაკრების გამარჯვებით 11:10. ჩილელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ივან სამორონო. მაყურებლები ოვაციით შეხვდნენ თავიანთ კერპს – დიეგო მარადონას და გამუდმებით გაიძახოდნენ მის სახელს. მაგრამ დიეგომ გატანილი ბურთით ვერ გაახარა თაყვანისმცემლები, თუმცა ამის ხუთიოდე შესაძლებლობა ჰქონდა. ჩილეში მარადონა ექვს დღეს ხელგაშლილად ცხოვრობდა. თითქმის ნახევარი მილიონი დოლარი დახარჯა. მას და მის თანამგზავრებს ადგილობრივი პოლიცია იცავდა.

### ლამაზმანი და ურჩხული

**ასე მოიხსენიებენ ინგლისური გაზეთები ლამაზმან დანიელა ლოიდის და „პორტსმუტის“ თავდამსხმელს ჟერმენ დეფოს ურთიერთობას, რომელიც ეს არის, განშორებით დამთავრდა. ასე რომ, ჟერმენმა შეავსო პრემიერ-ლიგის იმ ფეხბურთელთა რიგები, ვინც ერთ დროს დანიელას ეტრფოდა და ლამაზმანმა „ჩამოალაზორანტა“.**

23 წლის დანიელა, მორიგი თაყვანისმცემელი გულსა და ხელს რომ სთავაზობდა, დიდხანს ფიქრობდა. სასწორის ერთ პინაზე ის მათ გრძნობებს დებდა, ხოლო მეორეზე – დეფოს გაძვრომებს „მარცხნივ“, თავს კი თავისუფალ პიროვნებად მიიჩნევს.

მეგობრების რჩევა რომ ყურადიღო, დანიელამ აცნობა ჟერმენს, რომ ისეთი სულელი არაა, რომ ერწმუნა ინგლისელი ფეხბურთელის ერთგულების ფიცი. „თქვენ იმდენს სვამთ, რომ აღარ გახსოვთ, თუ შემდეგ რას აკეთებთ?



## ◉ რაგბი

# ივერიელის თასი შეინარჩუნეს

**საქართველოს და რუმინეთის მორაგბეთა მატჩი მეთერთმეტედ გაიმართა. აქამდე მხოლოდ სამჯერ გაიმარჯვეს ბორჯღალოსნებმა, მათ შორის – შარშან ბუქარესტში (20:17ძ და სახელოვანი ქართველი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწის ანთიმოზ ივერიელის თასი თბილისში დააბრუნეს.**



ამჯერად გუნდები ეროვნულ სტადიონზე ევროპის ერთა თასზე გადახალისებული შემადგენლობებითა და ახალი მწვრთნელებით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. პორტუგალიელებთან მოგებით წახალისებულმა მასპინძლებმა პირველი წუთებიდანვე შეუტიეს მეტოქეს, მალევე მამუკა გორგოძის ლელოთი და ოთარ ბარკალაიას ზუსტი გარდასახვით 7:0 დაწინაურდნენ. უპირატესობა არც შემდეგ გაუშვიათ ხელიდან და საბოლოოდ 22:7 გაიმარჯვეს, რითაც ანთიმოზ ივერიელის თასი შეინარჩუნეს. არც ის არის გამორიცხული, რომ ამ წარმატებით საქართველოს ნაკრებმა მსოფლიო კლასიფიკაციაში მეთექვსმეტედან მეთოთხმეტე ადგილზე გადაინაცვლოს. დღეისთვის სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

| | თ | მ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 6 | 5 | 1 | +146 | 10 |
| რუსეთი | 5 | 5 | 1 | +80 | 8 |
| რუმინეთი | 6 | 3 | 3 | +56 | 6 |
| ესპანეთი | 6 | 3 | 3 | +23 | 6 |
| პორტუგალია | 5 | 2 | 3 | -28 | 4 |
| ჩეხეთი | 6 | 0 | 6 | -277 | 0 |

მომდევნო მატჩში ჩვენები 23 თებერვალს ლისაბონში პორტუგალიელებს შეხვდებიან.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ◉ ფეხბურთი

# უცხოური მოზაიკა

**აფრიკის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა ეგვიპტის ნაკრებმა შეინარჩუნა „შავი კონტინენტის“ ეროვნებათა თასი. განის დედაქალაქ აკრაში გამართული ფორუმის ფინალში ფარაონთა შთამომავლებმა სონგის საბედისწერო შეცდომითა და აბუ თრეიქას ზუსტი დარტყმით 1:0 სძლიეს კამერუნელებს, რითაც მეექვსედ დაეუფლნენ პრესტიჟულ ჯილდოს.**



აღსანიშნავია, რომ დასახელებული ტურნირების ისტორიაში ეს სულ მეორე შემთხვევაა, როცა რომელიმე მონაწილემ ზედიზედ ორჯერ მოახერხა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა (პირველად ამას 2002-2004 წლებში კამერუნელებმა მიაღწიესძ.

მესამე პრიზიორები მასპინძლები გახდნენ.

* * *

რაც დრო გადის, სულ უფრო საფუძვლიანი ხდება ლონდონის „არსენალის“ საჩემპიონო ამბიციები, რასაც მის კონკურენტთა არასტაბილური თამაშიც უწყობს ხელს. **ინგლისის პრემიერლიგის** მორიგ ტურში შეფერხდნენ როგორც „მანჩესტერი“ (წააგო თანაქალაქელ „სიტისთან“ – 1:2ძ, ისე „ჩელსი“, რომელმაც შინ ფრედ დაასრულა მატჩი „ლივერპულთან“ – 0:0. განსაკუთრებით მოულოდნელი იყო მანჩესტერულ დერბიში სერ ალექს ფერგიუსონის შეგირდთა წარუმატებლობა, რადგან კვირის შეხვედრა ამ პოპულარული კლუბის მიუნხენური ტრაგედიის 50-ე წლისთავს ეძღვნებოდა. შეგახსენებთ, რომ ნახევარი საუკუნის წინათ ბელგრადში ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „ცრვენა ზვეზდასთან“ ძლევამოსილად დასრულებული ბრძოლის შემდეგ სამშობლოსკენ მიმავალი ინგლისური დელეგაციის რამდენიმე ათეული წევრი, მათ შორის 8 ფეხბურთელი ბავარიის დედაქალაქის აეროპორტში ავდრის შედეგად მომხდარ ავიაკატასტროფას ემსხვერპლა.

**იტალია.** „კატანია“ – „ინტერი“ 0:2, „რომა“ – „რეჯინა“ 2:0, „უდინეზე“ – „იუვენტუსი“ 1:2.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ინტერი“ – 56, „რომა“ – 48, „იუვენტუსი“ – 44 ქულა.

**ესპანეთი.** „რეალი“ – „ვალიადოლიდი“ 7:0, „სევილია“ – „ბარსელონა“ 1:1, „მურსია“ – „ვილიარეალი“ 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „რეალი“ – 56, „ბარსელონა“ – 48, „ვილიარეალი“ – 42 ქულა.

**გერმანია.** „ბაიერნი“ – „ვერდერი“ 1:1, „ბორუსია“ – „შალკე“ 2:3.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ბაიერნი“ – 40, „ვერდერი“ – 37, „შალკე“ – 35 ქულა.

**საფრანგეთი.** „ლიონი“ – „სოშო“ 4:1, „ბორდო“ – „მეცი“ 3:0, „ნანსი“ – „ტულუზა“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ლიონი“ – 49, „ბორდო“ – 41, „ნანსი“ – 37 ქულა.



## ◉ კალათბურთი



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

# სარეკორდო სტარტი

**კალათბურთელ ვაჟთა XVI ეროვნული ჩემპიონატის IV წრე „მაქაბის“ ჭაბუკი ცენტრალური თავდამსხმელის გიორგი შერმადინის კიდევ ერთი რეკორდით დაიწყო. „ავიამშენთან“ წაგებულ შეხვედრაში – 85:104 ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდის კაპიტანმა 41 ქულა შესძინა პარტნიორებს და თავისივე ძველი მიღწევა 1 ქულით გააუმჯობესა.**

აღნიშნული ფაქტის მიუხედავად, XVI ტურის საუკეთესო მოთამაშედ სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა თბილისის „დინამოს“ დებიუტანტი ვიქტორ სანიკიძე მიიჩნიეს, რომელმაც ფარქვეშ ბრძოლაში პირწმინდად დაჯაბნა გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტი – თსუ-ს ტანმაღალი წარმომადგენლები და უბერებელ ჟღენტთან ერთად გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს „თეთრ-ლურჯთა“ მიეო მოპოვებულ სენსაციურ გამარჯვებაში – 92:84.

## ◉ ძიუდო

# ერთი „ვერცხლის“ ამარა

**გასულ უქმეებზე პარიზში ძიუდოისტთა მსოფლიო სუპერთასის გათამაშებაზე საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი.** ცხადია, სალიცენზიო ტურნირებში ყველა ცდილობს ოლიმპიადის საგზურის მოსაპოვებლად სათანადო ქულების მოგროვებას. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ნაკრების მესვეურებს პრობლემად 81 კილოგრამი წონითი კატეგორია რჩებათ, რომელშიც ჯერჯერობით საგზური არა გვაქვს. ამიტომაც პარიზულ ბატალიებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მით უმეტეს, რომ ამ წონაში თამაშებზე გამგზავრების შანსს რამდენიმე ქართველი ფალავანი ინარჩუნებს. მათ შორის გახლავთ გიორგი ბაინდურაშვილი. საფრანგეთის დედაქალაქში მან ზედიზედ სძლია არგენტინელ ლუცენტის, ჩეხ პოკორნის, თურქ იბრაჰიმ ოზერლერს, აზერბაიჯანელ რაჯაბლის, მაროკოელ ატაფის და ფინალში გავიდა, აქ კი რუსეთელ ალიბეკ ბაშკაევთან დამარცხდა და მეორე ადგილს დასჯერდა. მისი უშუალო კონკურენტი გრიგოლ შინჯიკაშვილი სლოვენიელ ფერიანთან მარცხის შემდეგ გამოეთიშა შეჯიბრებას.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა ზურაბ ზვიადაურმა (90 კგ.ძ პირველივე შეხვედრა ყაზახ მაქსიმ რაკოვთან წააგო. ამავე წონაში მსოფლიო ჩემპიონმა ირაკლი ცირეკიძემ ინგლისელ გორდონს კი სძლია, მაგრამ კუბელ ბენავიდესთან დათმო ორთაბრძოლა და კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზას ჩამოშორდა. საგულისხმოა, რომ ბაინდურაშვილის გარდა, პარიზში საპრიზო ადგილებზე ქართველთაგან ვერავინ გავიდა. ზაზა კედელაშვილსა და ლაშა გუჯეჯიანს არ უჭიდავიათ. ისინი, ნაკრების სხვა წევრების მსგავსად, ფრანგებთან ერთობლივ საწვრთნელ შეკრებაში მიიღებენ მონაწილეობას.

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

## განჩინება

**კრედიტორთა კრების მოწვევის თაობაზე**

11 თებერვალი 2008 წელი ქ. თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ბესიკ სისვაძემ, ზეპირი მოსმენის გარეშე, ერთპიროვნულად განიხილა შპს „საქართველოს ავიახაზების“ მიმართ გახსნილი გაკოტრების საქმეზე კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი და**

**დაადგინა:**

1. შპს „საქართველოს ავიახაზების“ მიმართ გახსნილი გაკოტრების საქმეზე მოწვეული იქნას კრედიტორთა კრება შემდეგი დღის წესრიგით: შპს „საქართველოს ავიახაზების“ გაკოტრების მმართველის მიერ წარმოდგენილი თანხების განაწილების საბოლოო ცხრილის განხილვა;
2. კრედიტორთა კრების ჩატარების დროდ და ადგილად განისაზღვროს 2008 წლის 28 თებერვალი, 12 (თორმეტი) საათი, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, მდებარე თბილისში, ქეთევან წამებულის ქ. №1-ში;
3. განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები არაუგვიანეს 2008 წლის 21 თებერვლისა გამოქვეყნდეს პრესის მეშვეობით ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე ელექტრონული ინფორმაციის საშუალებით. ინფორმაცია კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნდეს სასამართლოს დაფაზეც. პრესის მეშვეობით განჩინების გამოქვეყნება დაევალოს შპს „საქართველოს ავიახაზების“ გაკოტრების მმართველს დავით კაკაბაძეს;
4. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

**მოსამართლე ბესიკ სისვაძე**


აუდიტ-ცენტრი
AUDIT-CENTER

## მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი
## გრანტების საკონკურსო პროგრამა
## განცხადება გრანტების პროგრამის IV რაუნდის შესახებ

**მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსი (IESC) აცხადებს გრანტების საკონკურსო პროგრამის მეოთხე რაუნდს. გრანტების პროგრამის დაფინანსება ხორციელდება აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ უცხოური დახმარების შესახებ აქტის საფუძველზე და განიხილება, როგორც საქართველოს კერძო სექტორის განვითარებისათვის გათვალისწინებული დახმარება.**

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი გახლავთ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული ოთხწლიანი პროექტი, რომელსაც საქართველოში საერთაშორისო ექსპერტთა კორპუსი ახორციელებს. პროექტი, რომლის მანდატი საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას მოიცავს, ყურადღებას შემდეგ ინიციატივებზე ამახვილებს: ტურიზმის განვითარება, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური კეთილდღეობის ზრდა, დახმარება ბიზნეს-ასოციაციებს, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ბიზნეს-საკონსულტაციო ქსელის შექმნა, და უნარ-ჩვევების გაუმჯობესება ტრენინგების საშუალებით.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს გრანტების საკონკურსო პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციებს და ფიზიკურ პირებს თავიანთი წვლილი შეიტანონ კერძო სექტორის განვითარებაში.

გრანტების საკონკურსო პროგრამის IV რაუნდის ამოცანას წარმოადგენს კურორტ აბასთუმნის, როგორც ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის ტურისტული ადგილის, კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა ისეთი პროექტების განხორციელების გზით, რომლებიც ხელს შეუწყობენ ტურიზმის განვითარებისათვის საჭირო გარემოს შექმნას. ამ კუთხით, მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი უპირატესობას მიანიჭებს განაცხადებს შემდეგი სახის პროექტებზე:

–2 გრანტი გაიცემა აბასთუმანში 2 სასტუმროს/კერძო სასტუმრო სახლის განახლებაზე; გრანტის ხანგრძლივობა – 4 თვე, მაქსიმალური თანხა – 25,000 აშშ დოლარი

– 2 გრანტი გაიცემა აბასთუმანში 2 ახალი კაფეს გასახსნელად (დახურული ან ღია კაფეები) ან არსებულის გასაახლებლად;

გრანტის ხანგრძლივობა – 4 თვე, მაქსიმალური თანხა – 15,000 აშშ დოლარი (ღია კაფე) – 20,000 აშშ დოლარი (დახურული კაფე)

– გრანტი გაიცემა აბასთუმანში ტურისტული ასოციაციის/სააგენტოს გასახსნელად, რომელსაც ექნება ინტერნეტით მომსახურების საშუალება;

გრანტის ხანგრძლივობა – 4 თვე, მაქსიმალური თანხა – 10,000 აშშ დოლარი

გრანტები გაიცემა მცირე და საშუალო ზომის კერძო საწარმოებზე, ბიზნეს-ასოციაციებზე, კოოპერატივებზე და ფიზიკურ პირებზე, რომლებსაც ესაჭიროებათ კაპიტალი ბიზნესსაქმიანობაში ფინანსური სტაბილურობის მისაღწევად. სავალდებულოა მინიმუმ 30 %-იანი ფინანსური თანადაფინანსება გრანტის განაცხადის წარმომდგენის მხრიდან.

ამა წლის 13 თებერვალს 15:00 საათზე, მცირე და საშულაო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტი გამართავს გრანტების საკონკურსო პროგრამის IV რაუნდის პრეზენტაციასა და კონსულტაციებს კურორტ აბასთუმანში – საოჯახო სასტუმრო "მედეა", რუსთაველის 35. განაცხადი საგრანტო პროექტის წარმოდგენის შესახებ სრულად უნდა აკმაყოფილებდეს განაცხადის წარმოდგენის ოფიციალურ წესებში განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომელიც ამა წლის 11 თებერვალს გამოქვეყნდება პროექტის ვებ-გვერდზე: www.iesc.ge. განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2008 წლის 14 მარტი (16:00 საათი).

**დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტის ოფისში ტელეფონებზე: 92-23-55/92-01-80/92-11-08.**

## განცხადება სააქციო საზოგადოება „მასპინძელის“ აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ

**2008 წლის 4 მარტს, 16 საათზე მოწვეულია აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: ქ.თბილისი, თარხნიშვილის ჩიხი №1.**

**დღის წესრიგი:**

1. სს „მასპინძელის“ ფინანსური საქმიანობის შემოწმების მიმდინარეობის შესახებ;
2. შპს „მასვალოს“ პარტნიორი კომპანია „ვალოს“ მიერ წილის გასხვისების შესახებ.
3. სხვადასხვა.

საერთო კრების სააღრიცხვო დღე 2008 წლის 1 თებერვალი. აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში მონაწილეობის უფლება გაერთიანებულ ქართულ რეგისტრატორთან. მის: ჭავჭავაძის გამზ.№74 ა.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას დედის
დალი ლოლუას
გარდაცვალების გამო.

---

ანზორ ბაბუხადია ოჯახით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქალბატონ
დალი ლოლუას
გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს შვილს – კონსტანტინე (კოკოძ გამსახურდიას, ოჯახს და ახლობლებს.

---

თინა და ჯუმბერ პატიაშვილები, დონარა და რეზო ჩაგელიშვილები, ნუნუ ცხოვრებაძე თანაუგრძნობენ უახლოეს მეგობარს გულიკო კარიაულს მეუღლის
კაკო კობახიძის
გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია და სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“ პრეზიდიუმები და საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური უნივერსიტეტის რექტორატი იუწყება ამავე აკადემიისა და საზოგადოების პრეზიდიუმის წევრის, აკადემიკოსისა და მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის
ივანე შენგელიას
გარდაცვალებას და იზიარებენ მისი ოჯახის, ნათესავებისა და მეგობრების მწუხარებას.

---

თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები, ზაურ, ნელი ფხალაძეები, თემურ, ანიკო კუჭუხიძეები თანაუგრძნობენ შუქრი და კლარა დევნოზაშვილებს დედის და დედამთილის
ლეილა პავლეს ასული დევნოზაშვილის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „სამოქალაქო სამშვიდობო ინიციატივის“ გამგეობა თანაუგრძნობს საზოგადოების თავმჯდომარეს მურად ანჯაფარიძეს ძმის
ანზორ ანჯაფარიძის
გარდაცვალების გამო.

## განცხადება

შპს „პენტა თრეიდინგი“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: თბილისი, ონიაშვილის ქ.№40, დამფუძნებელი რ.მალაები ტელ: 877.54.54.41.

---

შპს „ნარიყალა“, ს/კოდი 204898959 აცხადებს ლიკვიდაციას, დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: გრიშაშვილის 9. ტელეფონი: 899463232, 899519858.

# ბოლო გვერდი

● გაფიცვის მიზეზი გაზისა და ელექტროენერგიის ვაუჩერებია. როგორც პედაგოგები აცხადებენ, მათ ვაუჩერები ჯერაც არ მიუღიათ



№ 26. სამშაბათი, 12 თებერვალი, 2008 წელი.

◎ სულიერება

## ქრისტიანული სარწმუნოების ბურჯები – წმინდა ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და იოანე ოქროპირი







**12 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მოიხსენიებს სამ დიდ მღვდელმთავარს–სარწმუნოების მნათობებს წმინდა ბასილი დიდს, გრიგოლ ღვთისმეტყველს და იოანე ოქროპირს.**

... ცნობილია, რომ თავიდან მათი ხსენება სხვადასხვა დღეს იყო დაწესებული, იმხანად კონსტანტინოპოლში ცხარედ კამათობდნენ, თუ ვისთვის მიენიჭებინათ უპირატესობა ამ სამი მღვდელმთავრიდან. ერთნი ბასილი დიდს მიიჩნევდნენ უპირატესად, მეორენი – გრიგოლი ღვთისმეტყველს, სხვები კი – იოანე ოქროპირს.

ამ მიზეზთა გამო ქრისტიანთა შორის განხეთქილება ჩამოვარდა...

**თურმე ვითარება მეტისმეტად დაძაბულა და მხოლოდ ღვთის ნებით სამივე მღვდელმთავარი ერთად ეჩვენა მიტროპოლიტ იოანეს და განუცხადა: ჩვენ თანასწორი ვართ უფლის წინაშე, შეწყვიტეთ დავა, ერთ დღეს დააწესეთ ჩვენი ხსენება.**

დილმის მასივში, 130-ე საჯარო სკოლის ტერიტორიაზე მდებარე სამი მღვდელმთავრის სახელობის ტაძარში განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავენ მღვდელმსახურნი და მრევლი მათ ხსენებას.

**გიული ლიპარტია**

◎ ინფორმაცია

## ქართველი ებრაელები – ისრაელში

**საქართველოდან ისრაელში რეპატრირებული ე.წ. ქართველ ებრაელთა შვილები ადგილობრივ სკოლებში დიდი წარმატებით არ გამოირჩევიან.**

ისრაელის ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს მიერ ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, საქართველოდან რეპატრირებულ მოსწავლეთა მხოლოდ ნახევარი, კერძოდ კი 50,2% ახერხებს სკოლის სრული კურსის დასრულებას და შესაბამისი ატესტატის, „ბაგრუტის“ მოპოვებას. სწორედ ამ უკანასკნელის საშუალებით დაიშვებიან აბიტურიენტები ისრაელის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე.

გამოკვლევის თანახმად, ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან რეპატრირებული მოსწავლეები ადგილობრივ ებრაელებზე მეტ წარმატებებს აღწევენ სწავლაში. თუ „ბაგრუტის“ მისაღებად გამოცდებს წარმატებით ადგილობრივ მოსწავლეთა მხოლოდ 47,3% აბარებს, რეპატრიანტებში ეს ციფრი 50,8% განისაზღვრება.

საუკეთესო აკადემიური მოსწრებით რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, მოლდოველი და ბალტისპირელი მოსწავლეები გამოირჩევიან. ისინი რეპატრიანტთა 60,2% შეადგენენ.

საქართველოს მსგავსი მაჩვენებელი აქვთ სომხეთიდან რეპატრირებულ მოსწავლეებს, ხოლო კავკასიელი მოსწავლეები ყველაზე უარესი მაჩვენებლებით გამოირჩევიან.

## პედაგოგები გაიფიცნენ

**ქუთაისში მე-14 სკოლის პედაგოგები გაიფიცნენ. სასწავლო პროცესი შეწყვეტილია.**

გაფიცვის მიზეზი გაზისა და ელექტროენერგიის ვაუჩერებია. როგორც პედაგოგები აცხადებენ, მათ ვაუჩერები ჯერაც არ მიუღიათ.

გაფიცვის ორგანიზატორის ნანა სვანაძის განცხადებით, ამ პრობლემის შესახებ ყველა შესაბამისმა უწყებამ იცის, თუმცა ყურადღებას არავინ აქცევს.

როგორც ქუთაისის განათლების რესურს-ცენტრში აცხადებენ, პედაგოგების პროტესტს დააკმაყოფილებენ

## ან აქციები, ან შიმშილობა

**ქუთაისის მერიის წინ ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე შპს „განთიადის“ თანამშრომლებმა აქცია გამართეს.**

მაღაზიის მეპატრონეებმა და მომუშავე პერსონალმა პრივატიზაციის სამართველოს გადაწყვეტილება გააპროტესტეს.

პრივატიზაციის სამმართველომ შპს „განთიადის“ ფართი შარშან გაყიდა. ამავდროულად შენობაზე პრეტენზიას წლების მანძილზე იქ მომუშავე პერსონალი აცხადებს.

აქციის მონაწილეების განცხადებით, ისინი დაშლას არ აპირებენ და შიმშილობის დაწყებას გეგმავენ.

## აზერბაიჯანი გაზის ტარიფს გვიზრდის

**აზერბაიჯანი გეგმავს ბუნებრივი გაზის ფასი მსოფლიო ფასებს გაუთანაბროს. საქართველოსთვის ბუნებრივი გაზის ფასი 1000 კუბურ მეტრზე, შესაძლოა 180-200 დოლარი გახდეს. როგორც აზერბაიჯანის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრი ნატიკ ალიევი აცხადებს, საქართველოსთვის გაზის მიწოდება იანვრის დასაწყისში შეწყდა.**

– მიწოდებული გაზი ორივე მხარისთვის სარფიანი უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს საქართველო ჩვენ რთულ ვითარებაში არ უნდა ჩავაყენოთ, – განაცხადა მინისტრმა. მისი თქმით, ამჟამად მოლაპარაკებები მიმდინარეობს 180-200 დოლარის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანი საქართველოს გაზს მიაწვდის მას შემდეგ, რაც ქვეყნებს შორის შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმდება.

ქართული მხარე აზერბაიჯანიდან 1-1,5 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივი აირის შეძენას ითხოვდა, თუმცა ალიევის თქმით, საქართველოს 500 მილიონი კუბური მეტრი მიეწოდებოდა.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანი საქართველოს 1000 კუბურ მეტრ გაზს 120 დოლარად აწვდიდა.

## შეიქმნება საძიებო და სამაშველო რაიონები

**საქართველო „შავი ზღვის სანაპირო ქვეყნებს შორის თანამშრომლობის შესახებ საზღვაო საძიებო და სამაშველო მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით“ შეთანხმებას შეუერთდება.**

აღნიშნული დოკუმენტის განხილვა საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობს. მას 1998 წელს სტამბოლში მოეწერა ხელი.

დოკუმენტის მიხედვით, მხარეები კოორდინაციისა და თანამშრომლობის გზით უზრუნველყოფენ საზღვაო საძიებო და სამაშველო მომსახურებას ერთობლივად იმის მიხედვით, თუ რომელი მხარე უფრო ადრე მივა შემთხვევის ადგილზე, სადაც ეს სამუშაოები უნდა ჩატარდეს.

ამასთან, ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებებით, უნდა შეიქმნას საძიებო და სამაშველო რაიონები.

ინტერპრესნიუსისა და ჯი-ეიჩ-ენი-ს მიხედვით

◎ კადრი



რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

◎ ანეკდოტები

ერთი თავი კარგია, რამდენიმე თავი კი – ფარა...

* * *

კომპრომისიდან კომპრომისამდე ერთი ნაბიჯია...



* * *

ახლახან გავიგე, რომ თუ საწარმოში თანამშრომელთა 51 პროცენტი ინვალიდია, გადასახადს არ იხდი. თანამშრომლებს სიურპრიზი ელოდებათ...

* * *

როცა ქალი ჩუმდება, იგი ფიქრობს, რომ ფიქრობს.

* * *

სუმოში მსოფლიო ჩემპიონატზე 80 ტონაზე მეტი სპორტსმენი შეიკრიბა.

* * *

როდესაც თითზე საქორწინო ბეჭედს იკეთებ, ვერასდროს მიხვდები, რად შეიძლება იგი გამოდგეს – პარაშუტის რგოლად თუ ხელყუმბარისა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

# ეძღვნება ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვების 29 წლისთავს

## „ჩვენი რევოლუცია იყო სამართლიანობის სხივის აფეთქება“

**იმამ ხომეინი**



### სახელითა უზენაესისა

ჩემთვის დიდი პატივია მრავალსაუკუნოვანი კულტურის მქონე ირანის ხალხისა და ქვეყნის სახელით, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია კაცობრიობის ცივილიზაციას, ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვების ოცდამეცხრე წლისთავთან დაკავშირებით, მივესალმო სპეციალური გამოშვების მკითხველს.

ირანისა და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობიდან გამომდინარე, ქართველი ხალხი კარგად იცნობს ირანის ხალხსა და მის კულტურას. თუმცა ბოლო საუკუნეში პოლიტიკურ პროცესებს თან ახლდა ირან-საქართველოს ურთიერთობის წყვეტა. ვფიქრობ, პატივცემული მკითხველისთვის თანამედროვე ირანის მოკლე დახასიათება საინტერესო იქნება.

ირანი ახლო აღმოსავლეთის ცენტრალურ ნაწილში – სპარსეთის ყურესა და კასპიის ზღვას შორის მდებარეობს. ირანის მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობების გამო შესაძლებელია ქვეყნის სხვადასხვა მხარეში ერთდროულად წელიწადის ოთხი დროის ნახვა. ირანის ზეგანი აზიასა და მთელ მსოფლიოში ანტიკური ცივილიზაციების უძველესი ცენტრია. ქრისტეშობამდე მეორე ათასწლეულში დაიწყო არიული ტომების მიგრაცია ჩრდილოეთიდან ირანის ზეგანის მიმართულებით. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 330 წელს აქმენიდების დინასტიამ საფუძველი ჩაუყარა ირანის იმპერიის შექმნას. მას შემდეგ ამ ქვეყანას სხვადასხვა დინასტიები მართავდნენ. 1357 წლის (1979) ბაჰმანის თვეში (იანვარ-თებერვალი) ირანელმა ხალხმა იმამ ხომეინის მეთაურობით დაამხო ორიათას ხუთას წლოვანი მონარქიული მმართველობა და მოსახლეობის 99,8 პროცენტის მხარდაჭერით ჩამოაყალიბა ისლამური რესპუბლიკა.

ირანის ისლამური რესპუბლიკა მისი არსებობის მანძილზე მრავალ დაბრკოლებას წააწყდა, ამასთან, ჰქონდა მნიშვნელოვანი წარმატებებიც. გარეშე და შიდა საფრთხეების პირობებში ისლამური რევოლუციის მონაპოვართა დაცვა, 8-წლიან ომში ირანელი ხალხის ღირსეული გამარჯვება, ომის ნანგრევების აღდგენა, ხალხისა და ხელისუფლების თანამშრომლობის გაღრმავება ყველა დონეზე და სისტემის საფუძვლების გამყარება, ირანის ისლამური რესპუბლიკის რეგიონული და მსოფლიო როლის ამაღლება რეგიონულ და საერთაშორისო ასპარეზზე, ამ მიღწევათა ნათელი დადასტურებაა.

ამჟამად, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს ეროვნული თანხმობის სამ ძირითად ლოზუნგს. გარდა ამისა, ირანული საზოგადოება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კანონის უზენაესობის დაცვას, კანონიერი უფლებების ფარგლებში დიალოგის, პლურალიზმის, სამართლიანობის, შემწყნარებლობის, თანხმობისა და სამოქალაქო საზოგადოების დინამიური და სტაბილური კურსის განვითარებას. ირანის ბოლო წლების სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები გარკვეულწილად მის საგარეო პოლიტიკაშია ასახული. ისეთი ცნებები, როგორიცაა დაძაბულობის განმუხტვა, დიალოგი და თანამშრომლობა, წარმოადგენს ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ახალ მიმართულებებს. ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობამ რამდენიმე წლის წინათ ქვეყნის განვითარების 20-წლიანი პროგრამა შეიმუშავა, რომელიც დაყოფილია 5-წლიან ეტაპებად. ჰიჯრის კალენდრით 1404 (2025) წლისთვის ამ პროგრამის განხორციელების შედეგად, ირანი გადაიქცევა განვითარებულ სამრეწველო, ეკონომიკურ და სამეცნიერო შესაძლებლობების მქონე ქვეყნად.

ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური კურსი ითვალისწინებს რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე მეზობლებსა და სხვა ქვეყნებთან კეთილმეზობლური, ორმხრივი ურთიერთობების დამყარებას. ამ კუთხით, საქართველოსთან ურთიერთობის განვითარებას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ბირთვული ენერგიის საკითხი დღეისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა. იმ დროს, როდესაც ირანის ისლამური რესპუბლიკა ბირთვული ენერგიის მშვიდობიან გამოყენებას მიიჩნევს ყველა ერის უპირობო უფლებად, ზოგიერთი ქვეყანა ცდილობს ბირთვული ტექნოლოგიების გამოყენება საკუთარ პრიორიტეტად გამოაცხადოს. სწორედ ამის გამო, თეირანი გეგმავს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ზედამხედველობით ბირთვული ენერგიის მშვიდობიან გამოყენებას.

თეირანის დადანაშაულება, ვითომ მალულად ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობაში, ზოგიერთი ქვეყნის მხრიდან ხდება იმ დროს, როდესაც ირანის ისლამური რესპუბლიკის რელიგიური საფუძვლები ძირეულად ეწინააღმდეგება ისეთ ცნებებს, როგორიცაა მასობრივი მკვლელობა და გენოციდი.

მოხარული ვართ, რომ ირანის საგარეო პოლიტიკის ახალი ხედვა, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის ბირთვული პროგრამის საკითხის მოგვარების მიზნით დაწყებული კონსტრუქციული დიალოგის გაგრძელება, ხელს უწყობს რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე თანხმობის, თანამშრომლობისა და მშვიდობის განმტკიცებას. მისი აღმატებულება დოქტორ აჰმადინეჟადის მიერ შემოთავაზებული წინადადება მშვიდობისა და სამართლიანობის მსოფლიო ფრონტის შექმნის შესახებ, რომელსაც მხარს უჭერენ 21-ე საუკუნის თავისუფლებისმოყვარე ერები, წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკაში ირანის ხედვის აღიარების მკაფიო მაგალითს. გასული წლების განმავლობაში ასეთი პოლიტიკის შედეგად ირანის ურთიერთობის განვითარება ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით კი კავკასიის რეგიონთან შესამჩნევი გახდა. ირანის ისლამური რესპუბლიკა კვლავინდებურად, მისი დიდი პოტენციალის გათვალისწინებით, საქართველოსთან თანამშრომლობის გაღრმავებისთვის აცხადებს მზადყოფნას.

დასასრულ, ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობის განვითარების გზაზე მაღალ ღმერთს შევთხოვ ირანისა და საქართველოს სახელმწიფოების და ერების კეთილდღეობასა და წარმატებას.

**მოჯთაბა დამირჩილუ,**
ირანის ისლამური რესპუბლიკის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში



# უცხოელ მოღვაწეთა და ექსპერტთა შეფასებები

„ძლიერი რელიგიური რწმენის ამ ფიზიკურად სუსტმა დროულმა კაცმა, რომლის იდეებს დასავლეთი ყავლგასულსა და შუასაუკუნეობრივს უწოდებდა, ის შეძლო, რამაც ჭეშმარიტად შეაზანზარა მთელი მსოფლიო... ხომენიმ გააქარწყლა დასავლეთის მტკიცება იმის შესახებ, რომ რადგან მსოფლიოში სიტუაციებს მხოლოდ პოლიტიკა და სამხედრო ძალა განსაზღვრავს, რელიგიას არ ძალუძს მართოს თანამედროვე საზოგადოება. დიდ სახელმწიფოებთან თავის ბრძოლაში ხომეინი ვაშინგტონსა და მოსკოვს დაუპირისპირდა, მათ არ მისცა ირანის საქმეებში ჩარევის შესაძლებლობა და გაიმარჯვა. წუთისოფელი მან მხოლოდ მაშინ დატოვა, როცა საკადრისი მარცხი აგემა თავის მტრებს".

პროფ. უილიამ ბრაუნი
1979 წ. სახელმწიფო მდივნის ვენსის მრჩეველი

„ირანის ისლამურ რევოლუციასა და ირანის შაჰის ჩამოგდებას დამანგრეველი ზემოქმედება ჰქონდა საგარეო პოლიტიკაზე. შაჰის ჩამოგდება ყველაზე დიდი პოლიტიკური სირცხვილი იყო შეერთებული შტატებისათვის ბოლო წლების მანძილზე".

ჰენრი კისინჯერი

ირანის ისლამური რევოლუცია „იყო ერთდროულად გამოხატვა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უკმაყოფილებისა, რომელიც აკუმულირდებოდა ათეული წლების მანძილზე".

ნიკი კედი
Modern Iran, Jale university Press,2003,p.1

„ანტიდასავლური ირანის ისლამური რესპუბლიკა ხშირად გაოცებას იწვევს თავისი ერთგულებით დასავლური პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი, განსაკუთრებით კი პარლამენტით. ირანის მეჯლისის მოღვაწეობის დეტალური შესწავლა გვიჩვენებს, რომ ირანში არიან კომპეტენტური პოლიტიკოსები, რომ პარლამენტში იმართება ნამდვილი დებატები, რომ ამ უწყების საქმიანობის გაცნობით შეიძლება ირანის შესწავლა".

Foreign Affaires, Jully/August, 1997, p. 164


მოსთაფა გუდარზი, „ჯარისკაცის დედა"

„დასავლეთელებისათვის, რომლებიც მიჩვეული იყვნენ გასულ რევოლუციებში (1789, 1830, 1848) დაენახათ ბურჟუაზიის გამარჯვება ტახტისა და ეკლესიის ალიანსზე, ის, რაც ირანში მოხდა – შიიტური სამღვდელოების ალიანსი ბაზრის ბურჟუაზიასა და ინტელექტუალებთან „მოდერნიზატორი" შაჰის წინააღმდეგ, გაუგებარი იყო... შიიზმის პარადოქსს წარმოადგენს ის, რომ მისი რევოლუციური პოტენციალის კონცენტრაცია მოხდა სამღვდელოების გარშემო. ისლამურ სამყაროში რეალურად მხოლოდ ირანელმა შიიტებმა მიანიჭეს ნებსით თუ უნებლიეთ წარმმართველი როლი სამღვდელოებას, ყოველივე ეს კი განპირობებული იყო იმ სპეციფიკური ფუნქციებითა და ადგილით, რომელიც ისტორიული რევოლუციის მანძილზე მოიპოვა შიიტურმა სამღვდელოებამ ირანულ საზოგადოებაში".

გიორგი სანიკიძე,
შიიზმი და სახელმწიფო ირანში,
თბ. 2005, გვ. 332,350.


საადის აკლდამა შირაზში

„შიიტური სამღვდელოება ერთადერთი არასამთავრობო სტრუქტურა იყო, რომელსაც სოლიდური ბაზა ჰქონდა მთელი ქვეყნის მასშტაბით და რომელიც ყველასათვის გასაგებ ენაზე ლაპარაკობდა".

ერვანდ აბრაჰამიანი
Iran between two Revolution, Princeton, University Press, 1982, p. 497

№ 26. სამშაბათი, 12 თებერვალი, 2008 წელი.



# ეძღვნება ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვების 29 წლისთავს

აიათოლა რუჰოლა ალ-მუსავი ალ-ხომეინი (1902-1989) — მე-20 საუკუნის უდიდესი ირანელი რელიგიურ-პოლიტიკური მოღვაწე, ირანის რევოლუციის ბელადი და ირანის ისლამური რესპუბლიკის ფუძემდებელი. დაიბადა ხომეინში (დაახლ. 350 კმ-ზე თეირანის სამხრეთით) სასულიერო პირის ოჯახში.

„იმამ ხომეინის შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რომელიც თითქმის ოთხ ათეულ ტომს მოიცავს, მეტად ფართო და მრავალმხრივია. მუსლიმური ღვთისმეტყველების და საზოგადოდ რელიგიის, სამართლის, ფილოსოფიის, ეთიკის, ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის და საერთაშორისო ურთიერთობის პრობლემებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიული თხზულებების, ტრაქტატების, სტატიებისა თუ სიტყვების გარდა, მის კალამს ეკუთვნის კულტუროლოგიური ნაშრომები და ფილოლოგიური გამოკვლევები სპარსული და არაბული ლიტერატურის საკითხებზე. ფართოდაა ცნობილი, აგრეთვე, იმამ ხომეინის პოეტური შემოქმედება, მისი ფილოსოფიურ-მისტიკური ლექსები, რომელთა ნაწილი ქართულ ენაზეც არის თარგმნილი და გამოცემული (იხ. იმამი ხომეინი. ფილოსოფიური ლირიკა. სპარსულიდან თარგმნილი მაგალი თოდუას მიერ. ქუთაისი, 1995წ; იმამ ხომეინი. სიყვარულის ღვინო. სპარსულიდან თარგმნა ვახუშტი კოტეტიშვილმა, თბილისი, 1995 წ.) იმამ ხომეინის უკანასკნელი ნაშრომი — მისი „პოლიტიკურ-რელიგიური ანდერძი“ თარგმნილია მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე, მათ შორის ქართულზეც“. გრიგოლ ბერაძე (ისლამი, ენციკლოპედიური ცნობარი, შესავალი წერილი და ხელმძღვანელობა გოჩა ჯაფარიძისა, თბილისი, 1999, გვ.218-219).



პრეზიდენტი მაჰმუდ აჰმადინეჟადი დაიბადა 1956 წელს სემნანის პროვინციაში მჭედლის ოჯახში. მამამისს ჰყავს შვიდი შვილი, მათ შორის მაჰმუდი მეოთხეა. სრულიად ირანის მასშტაბით ჩატარებული აბიტურიენტების კონკურსში იგი მოხვდა იმ 130 აბიტურიენტის რიცხვში, რომლებსაც ექლეოდათ უფლება, უკონკურსოდ ჩარიცხულიყვნენ ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში. 1975 წელს მაჰმუდი ჩაირიცხა მეცნიერებისა და მრეწველობის უნივერსიტეტის სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტზე.

1997 წელს მას მიენიჭა დოქტორის ხარისხი, მის მიერ აღზრდილია ოცზე მეტი მაგისტრი და დოქტორი, მათ შორის თითქმის ნახევარი ქალებია. იგი აქტიური მონაწილეა ირან-ერაყის ომის. სხვადასხვა დროს აღმასრულებელ სტრუქტურებში ეკავა თანამდებობები: იყო რაიონის გამგებელი, გუბერნატორის მრჩეველი, გუბერნატორი, თეირანის მერი.





აიათოლა სეიედ ალი ხამენეი — ირანის ისლამური რესპუბლიკის რელიგიურ-პოლიტიკური ლიდერი (წინამძღოლი), დაიბადა 1939 წელს მეშჰედში სასულიერო პირის ოჯახში. სასულიერო სკოლის დამთავრების შემდეგ განაგრძობს სწავლას მეშჰედის სასულიერო აკადემიასა და ნაჯაფის (ერაყი) სასულიერო აკადემიაში. 1958-1964 წლებში ქ.ყუმის სასულიერო აკადემიაში ესწრება ცნობილი თეოლოგების სემინარებსა და ლექციებს, კერძოდ აიათოლა ხომეინის სემინარებს. 1962 წლიდან ალი ხამენეი აქტიური მონაწილეა ანტიშაჰური რევოლუციური მოძრაობის, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იგი თავდაცვის მინისტრის მოადგილე და „ისლამური რევოლუციის გუშაგთა“ კორპუსის სარდალი, აგრეთვე — თავდაცვის უმაღლეს საბჭოში იმამ ხომეინის წარმომადგენელია.

მან გაიარა გადასახლებების, ექვსჯერ დაპატიმრების და წამების მძიმე გზა. 1981 წელს განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად იგი დაინვალიდდა.

1981-1989 წ.წ. ალი ხამენეი ირანის პრეზიდენტია, იმამ ხომეინის გარდაცვალების შემდეგ „ექსპერტთა საბჭომ“ აირჩია იგი წინამძღოლად.

აიათოლა ხამენეის კალამს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი ზოგადი და მუსლიმანური თეოლოგიის, შიიტი იმამების მოღვაწეობის, მეჩეთების ისტორიის, სახელმწიფოს მართვის თეორიის, ესთეტიკისა და ხელოვნების საკითხების შესახებ.

პარლამენტის თავმჯომარე ყოლამალი ჰადად ადელი დაიბადა თეირანში 1945 წელს მოსამსახურის ოჯახში, შირაზის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ თეირანის უნივერსიტეტში გაიარა დოქტორანტურა. მისი საკვალიფიკაციო ნაშრომი ეძღვნება შემეცნების საკითხს კანტის ფილოსოფიაში. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა თანამდებობებზე: ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერი მუშაკი, კულტურისა და ისლამური დამოძღვრის მინისტრის მოადგილე, რადიო-ტელევიზიის ორგანიზაციის საბჭოს წევრი, განათლების მინისტრის მოადგილე, გენერალური დირექტორი ისლამური ენციკლოპედიის ფონდის, სპარსული ენისა და ლიტერატურის აკადემიის პრეზიდენტი, აგრეთვე მეექვსე მოწვევის პარლამენტის წევრი (1999), მეშვიდე მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე (2003). მის კალამს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი ფილოსოფიის, რელიგიის ისტორიის საკითხებზე. იგი ავტორია საზოგადოებრივ მეცნიერებათა ზოგიერთ დარგში შექმნილი სახელმძღვანელოებისა. დოქტორი ჰადად ადელი მრავალტომეული „ისლამური სამყაროს ენციკლოპედიის“ მთავარი რედაქტორია.



## ამონარიდი სტატისტიკური მონაცემებიდან

*ირანის ისლამურ რესპუბლიკაში:*

1. ფუნქციონირებს 85 ათას 455 სკოლა, რომლებშიც სწავლობს 15 მილიონ 422 ათასი მოსწავლე.
2. 100-ზე მეტ უნივერსიტეტში სწავლობს 2 მილიონ 389 ათასი სტუდენტი, რომელთა შორის 60 პროცენტს ქალიშვილები შეადგენენ.
3. 93 ათას მაგისტრანტიდან და 59 ათას 800 დოქტორანტიდან 60 პროცენტზე მეტი ქალია.

„ცოდნა ცოდნის მფლობელისაგან უნდა შევისწავლოთ, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი და სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ, მაგრამ ისლამურმა სამყარომ უნდა გამოიჩინოს თავგამოდება და გულმოდგინება, რომ სამუდამოდ არ დარჩეს შეგირდად“.

აიათოლა სეიედ ალი ხამენეი

ეროვნული
ბიბლიოთეკის
ახალი
შენობა





# ეძღვნება ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვების 29 წლისთავს

*ადამიანის უფლებების თვალსაზრისით კაცსა და ქალს შორის განსხვავება არ არის, რამეთუ ორივე ადამიანია, და ქალს, როგორც მამაკაცს, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს თავისი ბედის გამოჭედვაში.*

იმამ ხომეინი



ქალბატონი ფარი საბერი, პარიზის კინოხელოვნების ინსტიტუტის კურსდამთავრებული, ცნობილი რეჟისორი, თეირანის დრამატული თეატრის დირექტორი, თავის დადგმებში იყენებს კლასიკური სპარსული ძეგლების სიუჟეტებს და დასავლეთევროპულ პიესებს (მაგ., „კავკასიის ცარცის წრე“ძ.



გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ფათემე ჯავადი ირანის ვიცე-პრეზიდენტი.

ქალბატონი თაჰმინე მილანი ცნობილი რეჟისორი და სცენარისტი. 1979 წლიდან მუშაობს კინემატოგრაფიაში. თხუთმეტი ფილმი ეკრანიზებულია თ.მილანის სცენარის მიხედვით. თ.მილანის ფილმები წარდგენილია ირანსა და მის ფარგლებს გარეთ გამართულ მრავალ კინოფესტივალზე: 1994 წელს ჩიგაკოში ფილმმა – „კაკადუ“ დაიმსახურა საპატიო დიპლომი, 1999 წელს თაურმანას (იტალიაძ კინოფესტივალზე ფილმის – „ორი ქალი“ მთავარი პერსონაჟის როლის შემსრულებელმა ნიქი ქარიმიმ დაიმსახურა პრიზი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის.





ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ქალბატონი მასუმე ებთექარი, პრეზიდენტ ხათამის კაბინეტში ეკავა ვიცე-პრეზიდენტის პოსტი.

სემირა მახმალბაფი ცნობილი ხელოვნის მოჰსენ მახმალბაფის ქალიშვილი, 2000 წელს კანის ფესტივალზე იყო ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე. მისმა ფილმმა „შავი დაფა“ დაიმსახურა სპეციალური პრიზი.





ქალბატონი შირინ ებადი – თეირანის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოცენტი. ადამიანის უფლებების დაცვის ნომინაციით ნობელის პრემიის ლაურეატი (2003ძ.



დოქტორი ზაჰრა რაჰნავარდი ალ-ზაჰრას უნივერსიტეტის რექტორი, ხელოვნების აკადემიის ნამდვილი წევრი.



ბალეტი „ინტიფადა“. დასკვნითი სცენა.



მთამსვლელი ფარხონდე სადეყი

## ქალთა გაერთიანებები ირანში



ირანელმა მთამსვლელებმა ლეილა ბაჰრამიმ და ფარხონდე სადეყმა ირანის ისლამური რესპუბლიკის დროშა აღმართეს ევერესტის მწვერვალზე (2005 წ.ძ.

ირანის ისლამურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 130-მდე ქალთა არასამთავრობო საზოგადოება და გაერთიანება, მათ შორის: ასირიელ ქალთა საზოგადოება, ბუნების დამცველ ქალთა საზოგადოება, დაბინძურების წინააღმდეგ მებრძოლ ქალთა საზოგადოება, ებრაელ ქალთა საზოგადოება, ეკლესიის თაყვანისმცემელ ქალთა საზოგადოება, ექიმ ქალთა ისლამური საზოგადოება, საქველმოქმედო საზოგადოება „იასამანი“, სომეხ ქალთა საზოგადოება, სომეხ ქველმოქმედ ქალთა საზოგადოება, ცეცხლთაყვანისმცემელ ქალთა საზოგადოება, ქალთა ნაწარმის საშინაო და საერთაშორისო მარკეტინგის ცენტრი.



შემშაქის სათხილამურო ბაზაში



# ეძღვნება ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვების 29 წლისთავს

# ირანი-საქართველო: ცივილიზაციათა დიალოგი

ირანი (1935 წლამდე ოფიციალური სახელწოდება – სპარსეთი, Persia) წინა აზიის უძველესი სახელმწიფოა. აკად. გიორგი წერეთელი ნაშრომში „აქემენიანთა სახელმწიფო და მსოფლიო ცივილიზაცია“ აღნიშნავს, რომ შუაზიისა და სამხრეთ კავკასიის მიერ აქემენიანთა იმპერიაში (VI-IV ჩვენ წელთაღრიცხვამდე) „განვითარებული ადმინისტრაციული, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სამართლებრივი სტრუქტურების გაცნობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ამ რეგიონისთვის“. ლეონტი მროველი აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფო უწყებები დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ „სამეფოსა სპარსთასა“. აკად. ივანე ჯავახიშვილის აზრით, „თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში საქართველო სხვადასხვა მაჰმადიანთა სამთავროებს და სპარსეთს ებრძოდა, პოეზია და კულტურა ქართველ-სპარსთა სულიერ ერთობასა ჰქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს სთესავდა“.

ჩვენს დროში ირანის ისლამურმა რესპუბლიკამ ერთ-ერთმა პირველთაგანმა სცნო ახალი საქართველო. ირანი მტკიცედ იცავს საქართველოს საზღვრების ხელშეუხებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს.



„ვეფხისტყაოსანი“, თეირანი 1998.



„ვეფხისტყაოსანი“, რაშთი, 2000.



„ათას ერთი ქართული ანდაზა“, თეირანი 2002.



საქართველოს გეოგრაფია, ისპაჰანი, 2002



მისი უწმიდესობის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან არსებული კვლევით ცენტრში 2001 წ. 29 მაისს წაკითხული მოხსენების ტექსტი, გამოქვეყნებული გაზეთ „Iran News“-ში.



ალავერდიხან უნდილაძის ხიდი ისპაჰანში.

## გამოქვეყნდა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში

1. ქართველი ირანელები, ისპაჰანი, 1979 (ფერეიდნელი ავტორი მოჰამად სეფიანი).
2. ქართული ზღაპრები, თეირანი 1979 (მთარგმნელი აბოლფაზლ აზმუდე).
3. ქართველები, თეირანი, 1984 (ავტორი დეივიდ მარშალ ლენგი, მთარგმნელი ქ-ნი როყიე ბეჰზადი).
4. საქართველო (ეძღვნება ივ.ჯავახიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავს), თეირანი, 1996 (ავტორი– როინ მეტრეველი, მთარგმნელი ბაჰრამ ამირაჰმადიანი, რედაქტორი ჯემშიდ გიუნაშვილი, საქართველოს საელჩოს გამოცემა ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანადგომით).
5. ვეფხისტყაოსანი შოთა რუსთაველის შედევრი, თეირანი, 1998 (გამოკვლევა და თარგმანი ფარშიდ დელშადისა, რედაქტორი ჯემშიდ გიუნაშვილი, საქართველო-ირანის სამეცნიერო-კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საზოგადოების გამოცემა ირანში საქართველოს საელჩოს თანადგომით).
6. საქართველოს გეოგრაფია (სპარსულ ენაზე), თეირანი, 1998 (ავტორი ბაჰრამ ამირაჰმადიანი).
7. საქართველო (ცნობარი სპარსულ ენაზე), თეირანი, 1999 (ავტორი ქ-ნი ფარვინ მოაზამი, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოცემა).
8. ვეფხისტყაოსანი, რაშთი, 2000 (მთარგმნელი მოჰამადქაზემ იუსეფფური, რედაქტორი მაგალი თოდუა, გილანის უნივერსიტეტის გამოცემა).
9. ირანის ქართველები, ისპაჰანი, 2000 (ფერეიდნელი ავტორი მალექ მოჰამედ რაჰიმი).
10. ქართველების ადგილი ირანის ისტორიაში, კულტურასა და ცივილიზაციაში, ისპაჰანი, 2000 (ფერეიდნელი ავტორი საიდ მულიანი).
11. ირან-საქართველოს ისტორიულ-კულტურული ურთიერთგავლენა, თეირანი, 2001 („მრგვალი მაგიდის“ მასალები, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოცემა.
12. ქომეილის ლოცვები, ისპაჰანი, 2001 (არაბულ-სპარსულ-ქართული ტექსტები, თარგმნა ფერეიდნელმა სასულიერო პირმა მოჰსენ ხუციანმა).
13. ათასერთი ქართული ანდაზა (ქართულ-სპარსული ტექსტები), თეირანი, 2002 (თარგმანი თეა შურღაიასი და ფარშიდ დელშადის, რედაქტორი ჯემშიდ გიუნაშვილი, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოცემა).
14. საქართველოს გეოგრაფია, ისპაჰანი, 2002 (ფერეიდნელი ავტორის იმამყული ბათოვანის მიერ შედგენილი საკითხავი წიგნი დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის).
15. სპარსული ლიტერატურის ენციკლოპედია, მეხუთე ტომი, თეირანი, 2003 (სამხრეთ კავკასიისა და დაღესტნის ირანისტების ბიო-ბიბლიოგრაფიული ცნობარი – ტომის ერთი მესამედი (200 გვერდამდე) ეძღვნება ქართველ ავტორებს).
16. ქართული ენა სპარსულენოვანთათვის. გილანის უნივერსიტეტის გამოცემა, რაშითი, 2004 (ავტორი ლეილა გეგუჩაძე, მთარგმნელი ფარდინ ქომაი, რედაქტორი ჯემშიდ გიუნაშვილი).
17. თბილისის კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სპარსულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. პირველი, თეირანი, 2004 (შემდგენელი სეიფოლა მოდაბერ-ჩაჰარბორჯი, ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოცემა).
18. საქართველო ისტორიის შარაზე, თეირანი, 2004 (ავტორი ბაჰრამ ამირაჰმადიანი, ცივილიზაციათა დიალოგის საერთაშორისო ცენტრის გამოცემა).

№ 26. სამშაბათი, 12 თებერვალი, 2008 წელი.



# ვულოცავთ ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვების 29 წლისთავს

**საჴელითა უზენაესისა**

ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვების ოცდამეცხრე წლის დღესასწაულს ვულოცავთ ირანელ ხალხსა და უცხოეთში მყოფ ირანელებს, განსაკუთრებით საქართველოში მოღვაწეებს.

საქართველოში მოღვაწე
ირანელი სოვდაგრების გაერთიანება

**საჴელითა უზენაესისა**

თბილისის ფირდოუსის სახელობის სასწავლო ცენტრი ყველა ირანელს ულოცავს ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვების ოცდამეცხრე წლის დღესასწაულს.

ცენტრის ხელმძღვანელობა

# საწარმოო ძალების განვითარება - ხალხის კეთილდღეობა

*ირანის ისლამური რესპუბლიკა განვითარებადი ქვეყანაა, რომელიც ენერგიულად ზრდის თავის სამრეწველო პოტენციალს და ილვწის აგრარული სექტორის ინტენსიური განვითარებისათვის.*

## მოკლე ცნობები ავტომშენებლობის ინდუსტრიის შესახებ

ამჟამად ირანის ისლამურ რესპუბლიკაში რამდენიმე კომპანია უშვებს 30-მდე ტიპისა და დანიშნულების ავტომანქანებსა და აგრეთვე დიდი მოცულობის სამარაგო ნაწილებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია „ირან ხოდრო“ (600 ათასი ერთეულიძ და „საიფა“ (460 ათასი ერთეულიძ. ჯამური რიცხვი 2007 წელს ირანში გამოშვებული მანქანებისა აღწევს მილიონ 500 ათას ერთეულს.



ირანის ავტომშენებელთა წარმატება ეფუძნება მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური კორპუსის ქმედითუნარიანობას, ქვეყანაში განვითარებულ ინდუსტრიულ ბაზას და მსოფლიოს მოწინავე ავტომშენებელ კომპანიებთან მჭიდრო კავშირებს, კერძოდ, გერმანიის, იტალიის, სამხრეთ კორეის, საფრანგეთის, შვედეთის ფირმებთან.

ირანის ავტომშენებლები იყენებენ წარმოების ყველა ფორმას: 100 პროცენტი მონტაჟით დაწყებული დამთავრებული ადგილობრივი რესურსების გამოყენებით 100 პროცენტი დამზადებამდე.

„ირან ხოდრო“ მიზანმიმართულად აფართოებს წარმოებას (იგეგმება მილიონ 200-ათასი ერთეულის გამოშვება 2010 წლისთვისძ, ხოლო ირანის ფარგლებს გარეთ ენერგიულად ამყარებს ახალ კავშირებს. ამჟამად კომპანიას საქმიანი ურთიერთობა აქვს აზერბაიჯანის, ბელორუსიის, ეგვიპტის, ვენესუელის, თურქეთის, ინდოეთის, მალაზიის, სენეგალის, სირიის, უკრაინის, ჩინეთის სათანადო უწყებებსა და კომპანიებთან, აგრეთვე რუსეთის „ავტოვაზთან“: „ირან ხოდრომ“ წამოაყენა წინადადება ისლამური ქვეყნების, კერძოდ ირანის, მალაიზიის, თურქეთის მიერ ერთობლივი მარკის ავტომობილის წარმოების შესახებ. „ირან ხოდროს“ ინიციატივას მხარი დაუჭირა „ისლამური ქვეყნების ორგანიზაციამ“ და „ისლამური განვითარების ბანკმა“.



„სამანდის“
ახალი მოდელი


„სამანდი“

„სამანდი“ კარგი რეპუტაციით სარგებლობს ირანის ფარგლებს გარეთ, მრავალ ქვეყანაშია წარმოდგენილია ტაქსოპარკებში. „სამანდის“ წარმოების მიზნით „ირან ხოდროს“ მიერ ინვესტირებულია: 5 მილ.დოლ. აზერბაიჯანში, 70 მილ.დოლ. ბელორუსიაში, 80 მილ.დოლ. ვენესუელაში, 75 მილ. დოლ. სენეგალში, 57 მილ.დოლ. სირიაში, 60 მილ.დოლ. ჩინეთში.

„სამანდს“ კარგად იცნობენ თბილისშიც (დაინტერესებულ პირთათვის საკონტაქტო ტელეფონი: 899 342 342

სასტუმრო „დარიოსი“
(კუნძულ ქიშის თავისუფალი
ეკონომიკური ზონა – სპარსეთის ყურეძ





# ნაწარმის მაღალი ხარისხის დამამტკიცებელი სერტიფიკატები

„იზო – 9001“ – პროდუქციის მაღალი ხარისხის მიღწევისათვის

„იზო – 14001“ – გარემოს დაცვის მაღალი ხარისხისათვის.

ირანის ეროვნული სტანდარტი.

თურქეთის ექსპორტის სტანდარტი.

აირის ხარჯვის ეკონომიურობის ნიშანი.

მწვანე საფარის დაცვის წარმატებული საწარმოს ეროვნული კოდი.

ფირმა „ბახთარ ფადიდის“ ლაბორატორიების ავეჯი



ფირმა „ნაჯაფის სამედიცინო ნაწარმი“-სააავადმყოფოების აღჭურვილობა.




№ 26. სამშაბათი, 12 თებერვალი, 2008 წელი.



## ეძღვნება ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვების 29 წლისთავს

# ფირმა „შირინ ასალის“ („ტკბილი თაფლი“) პროდუქცია – ტკბილეულობა და კონსერვები


































სარეცხი საშუალებების მწარმოებელი ფირმა „ფაქ-ვაშის“ წარმომადგენელი თბილისში: 893 455566







**ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩო საქართველოში**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2008 წლის 12 თებერვლის სპეციალური ჩანართი